ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №55 (1565) პარასკევი, 13 ივნისი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## კახა თარგამაძე: დაკითხვაზე მხედრიონელები, როგორც ჩიტები, ისე მღეროდნენ ყველაფერს...

3

## იოსელიანმა შევაზულება აიღო ტერაქტის დღეს, 29 აგვისტოს დილით...

გუშინ გაიმართა პარლამენტის სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირთა ანტიკონსტიტუციური ქმედებების დროებითი საგამოძიებო კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც კომისიის თავ-რე მიხეილ ოსაძე ხელმძღვანელობდა. სხდომაზე მოისმინეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტერორიზმთან მებრძოლი ცენტრის ყოფილი უფროსის ელდარ გოგოლაძის, მისი მოადგილის გელა სულაძის, უშიშროების ყოფილი თანამშრომლის ზვიად მეფარიძის და გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ს კორესპონდენტის აკაკი მიქაძის ჩვენებები.

როგორც გ.სულაძემ განაცხადა, იგი სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა შ.კვირაიამ უკანონოდ დააკავა. დაკავების მიზეზი კი, მისი თქმით, 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობა იყო. კერძოდ, თითქოსდა გ.სულაძემ იცოდა ტერორისტული აქტის განხორციელების დღე და საათი და დამალა ეს ფაქტი. მისივე თქმით, სინამდვილეში, იგი თავისი შეფის ე.გოგოლაძის დისკრედიტაციის მიზეზით დააკავეს. გ.სულაძის განცხადებით, ტერაქტის გახსნით, შ.კვირაიას პრეზიდენტისათვის თავისი ერთგულების დამტკიცება სურდა.

7

## გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ

## სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან!

ამ ცოტა ხნის წინ თბილისში შევიძინე სერგო სერგოს ძე მამულოვის ორი წიგნი, გამოცემული მოსკოვში რუსულ ენაზე 1993 და 1995 წლებში. ეს წიგნებია: 1. „გასაოცარი ხალხი საოცრებათა ქვეყნიდან“ (ეძღვნება სომხეთსა და სომეხ ხალხს); 2. „სომხები საქართველოში“ (წიგნის შინაარსს უფრო შეეფერება სათაური – „სომხები საქართველოში თუ საქართველო სომხეთში?“). პირველი წიგნი გამოცემულია ოცი ათასიანი ტირაჟით, ხოლო მეორე – ხუთი ათასიანით. მართალია, მამულოვი ლამის მთელ მსოფლიოს მიიჩნევს სომხებისგან დავალებულად, მაგრამ ჩვენ პირველ რიგში მაინც იმაზე უნდა ვისაუბროთ, მამულოვის და ძმათა მისთა აზრით რანი ვიქნებოდით ქართველები, მაღალ ღმერთს ჩვენთვის მხსნელად სომხები რომ არ მოევლინა. და თუ დღეს საქართველოს, ქართველ ერს ძალიან უჭირს (ლამის კაციჭამიაობა დაიწყოს საქართველოში), ეს „ტუტუც-ვრაცებმა“, „გიჟ-ვრაცუებმა“ თავის თავს უნდა დააბრალონ, მათ რომ სომხებისთვის ყოველთვის და ყველაფერში დაეჯერებინათ, დღეს არც მშივრები იქნებოდნენ და არც ტუტუცები და გიჟები.

მამულოვის წიგნებში იმდენი „მარგალიტია“ მიმობნეული, რომ მათ ამოკრებას და თითოეულ მათგანზე გამოპასუხებას ორი წიგნიც არ ეყოფა. რადგან მე უკვე რამდენიმე წელიწადია წიგნის გამოცემის თაობაზე სიზმრებიც აღარ მაწუხებენ, სხვა გზა არაა, მეტისმეტად მოკლედ, შეკუმშულად უნდა ითქვას სათქმელი. მაგრამ ერთი რამ ამთავითვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით. მამულოვი და მისი წიგნების გამომცემელნი მარტო რამდენიმე კაციან ამქარს არ წარმოადგენენ. ხსენებული „მარგალიტები“ მამულოვის წიგნებში ერთადაა აკინძული, თორემ სომხურ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ან საერთოდ არმენოლოგიურ ლიტერატურაში ისინი დიდი ხანია გამომზეურებულია და მრავალ ქვეყანაში მცხოვრები სომხების თავგადასავლით დაინტერესებულ წრეებს შთააგონებენ, რომ საქართველო ყოველთვის იყო ან სომხეთის ნაწილი, ანდა სომხური სახელმწიფოებრიობის მოსპობის (XI საუკუნე) შემდეგ სომეხთა ნიჭის გამოვლენის ასპარეზი.

მამულოვის (და ძმათა მისთა) ამოსავალი დებულებაა: „სომეხთა არსებითი თვისებაა – შექმნა, ქართველებისა – გადაღება“, ე.ი. სომხები შემოქმედი ხალხია, ხოლო ქართველები მათი მონაპოვრების ამთვისებელნი თუ მიმთვისე-

2



## „მტრის გასრესა სიამოვნებაა“

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მე „ევროპის“ შემოსავლით ვცხოვრობ, თქვენ ხელფასით, არა?“

*გუშინ პარლამენტის სხდომაზე ბარამიძის მოხსენების წაკითხვამ, რომლის ტექსტსაც ნაწილ-ნაწილ ჩვენი გაზეთი აქვეყნებს, დეპუტატთა შორის ამბავი გამოიწვია ისეთი, როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ დეპუტატთა შორის ბევრს კუდი ეწვის. მანანა იაშვილმა გადმოგვეცა პარლამენტიდან:*

გია ბარამიძემ საათზე მეტი ილაპარაკა და დებატების გახსნის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეს, ედვარდ სურმანიძეს რამდენჯერმე მოუხდა დროის გადაწევა. „ქაჩალი თავს არ იფხანდა და რომ მოიფხანა, მოიგლიჯაო“, ისე დაემართათ დეპუტატებს. ერთად აენთნენ და დაიწყეს კორუფციაზე შეტევა, თითქოს პირველად გაეგოთ ბარამიძის კომიტეტის ამბავი და მისი გამოკვლევები. ზოგი გალიზიანებული ჩანდა, ბარამიძემ უკვე მოხსნილი ხალხის საქმეები აილო და ქულებს იწერსო. სოციალისტურმა პარტიამ არაორაზროვნად დასდო ბრალი მოქალაქეებს და თვითონ ბარამიძეს კომისიის ბოროტად გამოყენებაში და კორუფციაში. სოციალისტების ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ბრალი დასდო მოქალაქეებს, რომ ისინი აკონტროლებენ საბაჟოს და აღმსრულებელი ხელისუფლების იმ რგოლებს, სადაც დაუსჯელი კორუფცია ჰყვავის. ამან ჩაფიქრებულად მჯდომი ზურაბ ჟვანია მოთმინებიდან გამოიყვანა და რჩეულიშვილს და მის სანათესაოს წარსული და დღევანდელი ცოდვები გაუხსენა. ძველგაზრდა პარლამენტარებმა, რომელსაც გენო კალანდიაც შეუერთდა, თქვეს, რომ კარგი იქნება გამოკვლეული იქნას, ვინ რა ქონება შეიძინა 1990 წლის შემდეგ, რასაც ნესტან კირთაძეც დაეთანხმა. ვახტანგ რჩეულიშვილმა კი სოციალისტურ პოპულიზმს არ უღალატა და შენიშვნა მისცა პარლამენტარებს: „დიახ, მე 50 დოლარიან ჰალსტუხს ვატარებ და რესტორან „ევროპის“ შემოსავლით ვცხოვრობ, მაგრამ თქვენ შეხედეთ, რა გაცვიათ და რით ირჩენთ თავს? ხელფასი გყოფნით?“

მამუკა გიორგაძემ აღნიშნა გია ბარამიძის კომისიის დამსახურება, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ ეს მუშაობა წყლის ნაყვაა, რადგან პრობლემის ძირს არ ვხედავთ. ვახტანგ რჩეულიშვილს კი მიუთითა: „თუ მინისტრებზე და გამგებლების კორუმპირებულობაზე ლაპარაკობ, აბა, იმის ვაჟკაცობა გქონდეს, პირველი პირი ამხილო კორუმპირებულობაში. ამქვეყნად არაფერი შეცვლილა - ადრე პარლამენტი - უმაღლესი საბჭო იყო, პრეზიდენტი - პირველი მდივანი და ბევრს ახლაც ასეთი მიდგომა აქვს“.

საღამოს 9 საათისთვის პარლამენტარები ურთიერთბრალდებულებმა დაღალა, აქ არა მხოლოდ სოციალისტები და მოქალაქეები დაეტაკნენ ერთმანეთს, არამედ ღრენა და ცოდვების მოხსენიება არც ლეიბორისტებს დაუკლიათ, ხოლო სახალხო პარტია და ედპ ხომ მომენტს არ უშვებდა ურთიერთის კბილის გასაკრავად. აღორძინება უფრო სეირის მაყურებლად გამოდიოდა და იური ბიბილეიშვილის მეშვეობით პატიოსნებაში მოძღვრავდა დანარჩენ მრევლს. რაღა დანტეს „ჯოჯოხეთის“ ცოდვები და რაღა ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება, ამიტომ გამოითქვა სინანული: „ჩვენ აქ ერთმანეთს ვასკდებით და სხვები კი სუქდებიანო“. ეტყობა, პარლამენტის წევრებს წილი არ ჰყოფნით და ამაზე უნდა იფიქრონ ბარამიძის მომავალი მოკვლევის პერსონაჟებმა. საბოლოო სიტყვაში პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა: „სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი - კორუფცია საზოგადოების ცხოვრების წესი გახდა“. მან დადებითად შეაფასა გია ბარამიძის კომისიის მუშაობა და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი კომისიის მუშაობის გაგრძელებას დაეთანხმებოდა. ზურაბ ჟვანიამ მაინც ველარ მოითმინა და კბილი გაჰკრა სოციალისტების ლიდერს, მაგრამ მოითხოვა იმ ბიზნესმენების და ადამიანების რეაბილიტაცია, რომლებმაც 90-იანი წლების დასაწყისში ქონება იშოვეს. რა თქმა უნდა, ეს განცხადება პოლიტიკურად და ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად სწორი ნაბიჯია, რადგან სწორედ ამ ხალხზე დგას დღეს საქართველოს სახელმწიფოც და მისი მმართველობის ყველა სტრუქტურა. მერე რა, რომ მათ სისხლით, ხოცვა-ჟლეტით, მაფიოზური მეთოდებით და ყველა ჯურის კანონდარღვევით დააგროვეს ქონება, ახლა, ეტყობა, გამოსწორდებიან. ყოველ შემთხვევაში, ზურაბ ჟვანიას ამის იმედი აქვს: „მთავარია პირნათელი იყონ სახელმწიფოს წინაშე, წყნარად იმუშაონ, გადასახადები გადაიხადონ, მუშა-ხელი დააკმაყოფილონო“. ის კი ავიწყდება „კუზიანს სამარე გაასწორებსო“. თუმცა, მე მაინც ვეთანხმები მის აზრს, რადგან სხვა საშველს დღეს მართლაც ვერ ნახავ და სჯობს ისევ ამერიკული მოდელი მოვიშველიოთ, როგორ გახდნენ ძველი ბანდიტები მილიონრები და როგორ დაიწყეს კანონების წერა და მისი დაცვა.

# წაიკითხეთ, მხოლოდ ნუ აჟანყდებით...

## საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

### თბილისის მეტროპოლიტენის საჟეტონო სისტემაში არსებული დარღვევების შესახებ

1996 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ კომისიას შესასწავლად გადმოეცა ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნიკური ცენტრის „არის-ანგსტრემი“-ს (შემდგომში სკსტც „არის-ანგსტრემი“) დირექტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონი კ.ახვლაძის წერილი, თბილისის მეტროპოლიტენის დამხურდავებელი ფონდის მიმოქცევაში არსებული არასტანდარტული (როგორც შემდგომში დადგინდა „ყალბი“) ჟეტონების შესახებ.

საკითხის სრულფასოვან შესწავლას კომისიის მუშა-ჯგუფმა მოანდომა ოთხი თვე, გასცდა წერილში აღნიშნული ფაქტების გადამოწმების ფარგლებს და შეძლებისდაგვარად, სრული მასშტაბით შეისწავლა თბილისის მეტროპოლიტენში არსებული სიტუაცია. ამ მიზნით კოორდინირებული იქნა მუშაობა საქართველოს კონტროლის პალატასთან, რომელიც ასევე სწავლობდა აღნიშნულ საკითხს, ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები. წარმოებდა გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებული საბუთების და ინფორმაციის ერთიერთგაცვლა. რომელთა ანალიზის საფუძველზეც დადგინდა, რომ ქ.თბილისის მეტროპოლიტენი დღემდე ხელმძღვანელობს ყოფილი საკავშირო მიმოსვლის გზის სამინისტროს მეტროპოლიტენების მთავარი სამმართველოს ძველი ინსტრუქციით, რომლის მიხედვითაც ჟეტონებით მომსახურეობა არ არის გათვალისწინებული და ხდება მხოლოდ თანხის ზოგადი გამოხატულების აღნიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მეტროპოლიტენი საჟეტონო მომსახურებაზე გადავიდა 1992 წლიდან, მის მიერ შესაბამისი ინსტრუქცია არ ყოფილა შემუშავებული, რის შედეგადაც ჟეტონების რაოდენობის და ფულადი ნაშთის ერთიანი, არადიფერენცირებული აღრიცხვის გამო, მეტროპოლიტენის ფულად დამხურდავებელ სისტემაში შექმნილია სრული ქაოსი და განუკითხაობა.

მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის მხრიდან სრული უკონტროლობის შედეგად სადგურების სალაროების კომერციულ საქმიანობაში შექმნილია სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, აღურიცხავი ჟეტონების შექმნისა და გამოყენების გზით, სახელმწიფო ფულადი სახსრების მითვისების ხელსაყრელი პირობები, რომელთა მასიური რეალიზების ფაქტებიც მრავლად იქნა დაფიქსირებული კონტროლის პალატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში.

სისტემატურ ხასიათს ატარებს აღრიცხვის მონაცემებით რიცხული ნაშთების მიმართ ჟეტონების რაოდენობის შემცირების ან გაზრდის ხარჯზე ფულის მეტ-ნაკლებობით, უმეტეს შემთხვევაში კი ნაკლები თანხის გადაბარების ფაქტები, ხოლო რაც შეეხება თავად მეტროპოლიტენის მოძრაობის სამსახურს და საკონტროლო სარევიზიო სექტორს, მათ მიერ იჩქმალება შემოწმების მომენტისათვის ფონდში დანაკლისების ფაქტები, რაც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების ხელყოფისა და სხვა სერიოზული დარღვევების დაშვებისათვის ხელშემწყობ პირობებს.

რაც შეეხება ყალბი ჟეტონების არსებობას, ეს ფაქტი პირველად აღმოჩენილი იქნა ფირმა „არის-ანგსტრემი“-ს მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ხელმძღვანელობას 1995 წლის 3 ოქტომბერს. ამ დღიდან მოყოლებული ვიდრე 1996 წლის 10 ივნისამდე, როდესაც ყალბი ჟეტონების შესყიდვის და მიმოქცევაში გაშვების ფაქტზე ამხილეს მეტროპოლიტენის სადგურ „სამედიცინო ინსტიტუტი“-ს უფროსი ოპერატორი, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას არათუ არ მიუღია რაიმე ღონისძიება, არამედ არც კი უცნობებია სამართალდამცავი ორგანოებისათვის ყალბი ჟეტონების ანუ დანაშაულის ფაქტის შესაძლო არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თვით „მხილების“ ფაქტი მოხდა კომისიის მიერ აღნიშნული პრობლემით დაინტერესებიდან 4 დღის შემდეგ.

მოკვლეული მასალები კომისიამ განიხილა 1996 წლის 30 სექტემბერს, რის საფუძველზეც დაასკვნა, რომ ყალბი ჟეტონების დამზადებას და შეუფერხებელ გატარებას მეტროპოლიტენის გამშვებ-საკონტროლო პუნქტების მიერ, ხელი შეუწყო თავად მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის მოქმედებებმა, კერძოდ:

1. მეტროპოლიტენის სამმართველომ, სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნიკური ცენტრ „არის-ანგსტრემ“-თან დადებული გარიგების საწინააღმდეგოდ, თვითონ დაიწყო ჟეტონების დამზადება. აღნიშნული ფაქტი რომ არ მომხდარიყო, ფირმა „არის-ანგსტრემი“ ვალდებული იქნებოდა თავად ეგო პასუხი ყალბი ჟეტონების არსებობაზე და თავადვე აენაზღაურებინა მეტროპოლიტენისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

2. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ მათთვის და სახელმწიფოსათვის ეკონომიკურად არასასურველი პირობებით, ფინანსთა სამინისტროს ნებართვის გარეშე, ანუ კანონის უხეში დარღვევით, დაიწყო ჟეტონების ჩამოსხმა კერძო სტრუქტურაში, რითაც თავის თავს და შესაბამისად - სახელმწიფოს, მიაყენა მატერიალური ზარალი (დაახლოებით 229.516 ლარი) და გაზარდა ჟეტონების დამზადების ტექნოლოგიის მცოდნე პირთა წრე და აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო ალბათობა.

3. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ, ფირმა „არის-ანგსტრემი“-ს მიერ მეტროპოლიტენის სადგურებში დამონტაჟებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს, გაუწია ისეთი სახის ექსპლუატაცია, რომ აღნიშნულმა პუნქტებმა დაიწყეს ყალბი ჟეტონების გატარება. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგაც კი, მთელი წლის განმავლობაში, მეტროპოლიტენის სამმართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან არ ყოფილა მიღებული ქმედითი ღონისძიება არსებული სიტუაციის აღსაკვეთად, რის გამოც მეტროპოლიტენის სისტემაში მოძრავი ჟეტონების 13,3% აღმოჩნდა ყალბი.

4. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ, სადგურების სალაროების კომერციული საქმიანობის სრული უკონტროლობის შედეგად, შექმნა აღნიშნულ სისტემაში სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ფულადი სახსრების მითვისების, სახელმწიფო საკუთრების ხელყოფისა და სხვა სერიოზული დარღვევებისთვის ხელსაყრელი პირობები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ ქალაქ თბილისის მერიის წინაშე დასვა მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის გ.გაბუნიას, სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის გ.ღამბაშიძის და მეტროპოლიტენის სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა დაკავებულ თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი, ხოლო დასკვნა და ინფორმაცია ზემოთაღნიშნული ფაქტების შესახებ, შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კომისიის მიერ აღნიშნული საკითხი ქალაქის მერიის წინაშე დაისვა 1996 წლის 8 ოქტომბერს, დღემდე მერიას აღნიშნულ დოკუმენტზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №53,54.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

# სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან!

პირველი გვერდიდან

ბელნიო. უკეთუ მამულოვს დავუწყებთ იმის მტკიცებას, რომ ქართველებს თავი მოგვწონს ქართული კულტურის თავისთავადობით, თვითმყოფადობით, იგი აშკარად ან მინიშნებით გვეტყვის - არაფერი შეგეშალოთ, რასაც თქვენ ძველ თუ ახალ ქართულ კულტურას ეძახით, ყოველივე ეს სომხური კულტურის ნაწილია, სომხების შექმნილიაო. ასე მაგალითად, როგორც კი დავიწყებთ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეზე ლაპარაკს, მამულოვი მოარაკებით გვიპასუხებს: „1937 წ. მოსკოვში, სერიით „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ გამოიცა დ.დანდუროვის წიგნი - შოთა რუსთაველი“. საკვირველია, მაგრამ მამულოვმა რატომღაც თვითონ არ ახსენა სომხური ლეგენდა რუსთაველის სომხური წარმომავლობის შესახებ. სამაგიეროდ, მან თავის მკითხველებს ურჩია, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს, აუცილებლად უნდა გაეცნონ დანდუროვის წიგნსო. დანდუროვი კი გველის ხვრელში ძვრება, რათა დაამტკიცოს, „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი ვერ დაწერდა, ის უთუოდ სომხის დაწერილიაო. თუ ჩვენ მივუგებთ, სომხურად დაეწერა იმ დალოცვილს, რაღა ქართულად მოუნდაო, მამულოვს პასუხი ამაზეც მზადა აქვს: საუკუნეთა განმავლობაში მრისხანე ომებისაგან, ხოცვა-ჟლეტისაგან გადარჩენის მიზნით სომხები ეძიებდნენო თავშესაფარს, უფრო უსაფრთხო ადგილებს საქართველოში, „რადგან საქართველო მდებარეობდა სამხედრო-სატრანზიტო გზებისგან მოშორებით, მას იცავდა აგრეთვე კავკასიონის დიდი ქედი“. საქართველოში დამკვიდრებულ სომეხთა დიდი ნაწილი კი მადლიერების ნიშნად ქართულ ენაზე ქმნიდაო შედევრებს, (მამულოვი, სრულიად უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ სომხებად აცხადებს XIX-XX სს-ის გამოჩენილ ქართველებსაც - ა.ხახანაშვილს, ი.გრიშაშვილს, ვ.გოძიაშვილს და სხვებს). დროა, დავეხსნათ სომხურ ლეგენდას, უსაფუძვლო მიდებმოდებას რუსთაველის სომხურ წარმომავლობაზე (მხოლოდ შეიძლება თანავუგრძნოთ ამ ლეგენდის შემქმნელებს, მათ წვავდათ სურვილი ჰყოლოდათ რუსთაველისოდენა გენიოსი).

ალექსანდრე აბდალაძე

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ედუარდ შევარდნაძე მზად არის შეხვდეს ინგუშეთის პრეზიდენტს

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, ედუარდ შევარდნაძემ გამოხატა მზადყოფნა, შეხვდეს რუსლან აუშევს. მან დადებითად შეაფასა ინგუშეთის პრეზიდენტის წინადადებები, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ამ წინადადებების უფრო დეტალურად განხილვისთვის, ედუარდ შევარდნაძე მზად არის შეხვდეს რუსლან აუშევს.

BGI-ის ცნობა: მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა წამოაყენა წინადადება, – მოეწყოს რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს პრეზიდენტების და ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერების შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს. აუშევის განცხადებით, ის მზად არის გამოყოს 100-300 ინგუში კავკასიის სამშვიდობო ბატალიონისთვის, რომელსაც, აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში, მათი შეცვლა შეეძლება.

## არძინბა შეხვდა საქართველოს ელჩს რუსეთში

გუშინ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე მოსკოვში შეხვდა ვლადისლავ არძინბას. შეხვედრისას გადაწყდა, რომ მხარეები კონსულტაციებს დღესაც განაგრძობენ. საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, შეხვედრის მონაწილეებმა თავი შეიკავეს რაიმე ინფორმაციის გავრცელებისაგან. (ბი ჯი აი)

## არძინბა არ თმობს საკუთარ პოზიციებს

მთელი წელიწადი ვიბრძოდით თავის გადასარჩენად, ამიტომ არანაირ დამამცირებელ დათმობებზე არ წავალთ, – განაცხადა გუშინ მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ვლადისლავ არძინბამ. მისი თქმით, კონფლიქტის მოწესრიგების არავითარი შეთანხმებული გეგმა არ არსებობს, გარდა იმისა,რაც წლინახევრის წინ იყო მიღებული. ვლადისლავ არძინბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთი შეთანხმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს, თუ საქართველო აფხაზეთს თავის თანასწორად აღიარებს. (ბი ჯი აი)

## რუსეთის ფედერაციის საბჭო უკმაყოფილოა აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო გამოყვანით

რუსეთის ფედერაციის საბჭომ დაამტკიცა ბორის ელცინის განკარგულება, აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების 31 ივლისამდე ყოფნის შესახებ და აღშფოთება გამოხატა აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სამშვიდობო ოპერაციის მოსალოდნელ შეწყვეტასთან დაკავშირებით. (ბი ჯი აი)

# კახა თარგამაძე: დაკითხვაზე მხედრიონელები, როგორც ჩიტები, ისე მღეროდნენ თავიდან ბოლომდე ყველაფერს...

**საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი**



***ნ.გ.*** *– ჩვენი წინა საუბრების შემდეგ, რედაქციაში მობრძანდა გოგა გელაშვილის დედა, რომელმაც მთხოვა, მეც მაქვს სათქმელი, მინისტრს რომ ელაპარაკები, ექემიტანილის დედასაც მოუსმინეო. თქვენ თუ კითხულობდით ჩვენს დიალოგებს?*

**კ.თ.** – კი, ვკითხულობდი, ყოველ შემთხვევაში უმეტესობა წაკითხული მაქვს.

***ნ.გ.*** *– საინტერესო იქნება თქვენი კომენტარი.*

**კ.თ.** – იცით რაშია საქმე, ბატონო ნოდარ? ნებისმიერ დედას თავისი შვილი ანგელოზი ჰგონია. სხვათა შორის, ჩვენ, ქართველები, ბუნებით ვართ ასეთი ხალხი.

იცით რა, საქართველოში დამნაშავე არ არსებობს. საქართველოში არის უბრალო ხალხი, რომელთაც აბრალებენ დანაშაულს. ახლა იზოლატორში რომ ჰკითხოთ, დანაშაული თუ გაქვთ ჩადენილიო, 99% გეტყვით, რომ მას დანაშაული ჩადენილი არ აქვს. როგორც კი საკითხი შეეხება ჩვენს ახლობელს, ჩვენს ნათესავს, ჩვენს მეგობარს, ყველა ასე ამბობს, – არა ბატონო, ეს დანაშაულის ჩამდენი არ იყო. ეს ქართველების ბუნებიდანაა გამომდინარე.

მე დედის მესმის, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ გიგა გელაშვილზე არავითარი ზემოქმედება არ ყოფილა, არც ერთ მათგანზე, კაცობას გეფიცებით, ფიზიკური ზემოქმედება არ ყოფილა, არ ყოფილა ის, რასაც ახლა ამბობენ. ბოდიშს ვიხდი, და ბევრი ყანტალებს, რომ ვიღაცამ თითქოს ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მიიღო ჩვენებები. არ ყოფილა ეს ასე. ისინი, როგორც ჩიტები, ისე მღეროდნენ თავიდან ბოლომდე ყველაფერს. იმდენად ბევრი დამამტკიცებელი საბუთია მათზე. საზოგადოება ისე თუ შეხედავს, როგორც, ვთქვათ, ზოგიერთს აქვს სურვილი, წარმოაჩინოს თეთრი შავად ან პირიქით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუ დაეინახავთ რეალურად და ობიექტურად, მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დამტკიცდება იმ პირების დანაშაული, რომლებიც მხილებულნი და დაპატიმრებული არიან.

***ნ.გ.*** *– გელაშვილის დედამ განაცხადა, რომ გიგა ნასამართლევი არ ყოფილა დღემდეო.*

**კ.თ.** – არა, არ ყოფილა გიგა ნასამართლევი, სხვათა შორის ბევრი პირები არიან ისეთები, რომლებიც ნასამართლევი არ ყოფილან. თუმცა გიგა ნასამართლევი მაშინ უნდა ყოფილიყო, როდესაც პირველი დანაშაული ჩაიდინა, მეორე დანაშაულის ჩადენის უფლება არ უნდა მისცემოდა. ასევე ის პირებიც, რომლებმაც მასთან ერთად უამრავი დანაშაულებები ჩაიდინეს. გიგას და მათ იმდენი დანაშაულები აქვთ ჩადენილი, რომ კიდევ მელაენდება მკვლელობების სერიალები, არიან ბიჭები, რომლებიც დაკარგულები არიან, რომლებიც დახოცილები არიან, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ვერ ჩავეტიეთ 9 თვიან ვადაში ყველაფრის გასახსნელად. მოგეხსენებათ, ასეთი რთული საქმისთვის ძალიან მოკლე ვადაა ეს. მით უმეტეს ოპერატიული მუშაობა გართულებული იყო. არის ესეთი ფაქტიც, ოთხი ბიჭი არის დახვრეტილი და ჩამარხული არიან თბილისის ზღვაზე, და ეს ფაქტიც ალბათ მომავალში ცნობილი გახდება. ჩვენ, უბრალოდ, ამ ფაქტზე მუშაობის საშუალება ბოლომდე არ მოგვეცა და როდესაც სასამართლო პროცესი დამთავრდება, ჩვენ გავაგრძელებთ შემდგომ მუშაობას და ბოლომდე მივიყვანთ საქმეს. ჩვენთვის გვარით და სახელებით არის ცნობილი ეს პიროვნებები. როგორ დაახოცინეს ეს ბიჭები, ყველაფერი ეს ჩვენთვის ცნობილია, ცნობილია რა სისასტიკით და წამებით არიან ეს ბიჭები დახოცილი და უამრავი ფაქტები კიდევ, მაგრამ იცით რაშია საქმე? ჩვენ თუ გვინდა, რომ მკვლელების და ყაჩაღების ქვეყანად გადავიქცეთ და ადვოკატებად გადავიქცეთ მკვლელების, ტერორისტების და ყაჩაღების, მაშინ აღარ ყოფილა სამართალი. ჩემთვის როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ისეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულები არის ცნობილი, რომ ადამიანური თვალსაზრისით აღშფოთებას ვერ ვმალავ, როდესაც ვკითხულობ, როგორ თავგამოდებით მიდის ამათი დაცვა. აი, დაახლოებით ასეთი ტენდენცია მიდის ბოლო პერიოდში საქართველოში და სხვათა შორის, პრესის ფურცლებზეც კი. ერთი ლარი აიღო პოლიციელმა და აუ, ეს რა მოხდაო, იქცევა ქვეყანა, დახვრიტეთ პოლიციელიო, მაგრამ კიდევ კარგი ქართველი ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს. დღეს არ შეიძლება ქურდულ ტრადიციებს და დამნაშავეების სამყაროს აგიტაცია გაეწიოს პრესის საშუალებით. მე ეს ასე მგონია და თუ მეშლება არ ვიცი.

***ნ.გ.*** *– რა თქმა უნდა გეთანხმებით, ბ-ნო კახა, არის ხალხი, რომელიც გარედან ცდილობს ზემოქმედება იქონიოს სასამართლოზე და პრესას ამისთვის იყენებენ. ეს ცხადია, დანაშაულია, მაგრამ არის საკითხის მეორე მხარეც, შვილის დანაშაულის გამო მორალურად მშობელი პასუხს აგებს, მაგრამ იურიდიულად არ აგებს პასუხს. გოგა გელაშვილის დედამ ჩემთან საუბარში რამდენჯერმე აღნიშნა, რატომ არავინ მეხმარება მე, როდესაც განცხადებას ეწერე აღეწერ როგორ გამძარცვეს და ყურადღებას არავინ მაქცევსო. ამ პუბლიკაციების წაკითხვისას თქვენ ალბათ რეაგირებას მოახდენდით.*

**კ.თ.** – რა თქმა უნდა, მართალიც ბრძანდებით, შვილის გამო იურიდიულად მშობელს პასუხი არ მოეთხოვება, ისე როგორც შვილს მშობლის საქციელის გამო, მორალის თვალსაზრისით ეს უკვე მწერლობისა და პუბლიცისტიკის საქმეა. არა მგონია, რომელიმე სამართალდამცავს იმაზე მეტი გაეკეთებინოს, რაც დიდმა აკაკიმ კალმის ერთი მოსმით დაანამუსა ყველა დამნაშავის მშობელი – „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო", ჰაჯი უსუპს რომ ათქმევინა, მაგრამ ვიმეორებ, ეს პოეზიისა და პუბლიცისტიკის სფეროა.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ყველა დამნაშავე ვამხილოთ, ვინც არ უნდა გაძარცვოს მან, მაგრამ გამოგიტყდებით, ისიც საკითხავია, მართალს ამბობს თუ არა ის ქალბატონი...

***ნ.გ.*** *– ბატონო კახა, 26 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით, თქვენ პრესკონფერენციაზე უკვე გააკეთეთ განცხადება, მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ თავისთავად ფაქტი, როდესაც საქართველო ზეიმობს და ამ ზეიმის ადგილიდან სულ რამდენიმე ასეულ მეტრში...*

**კ.თ.** – რამდენიმე ათეულ მეტრში...

***ნ.გ.*** *– მით უარესი ფაქტებისათვის, სულ რამდენიმე ათეულ მეტრში ხდება ცემა-ტყეპა, საერთოდ, სასიამოვნო არ არის, არც საზოგადოებისათვის, არც სახელმწიფოსათვის, არც თქვენთვის. შეიძლებოდა თუ არა დარბევის გარეშე ზეიმის ჩატარება?*

დასაწყისი იხ. „საქართველო" №30-44, 53-54.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

## ჩვენი პარტიზანები იბრძვიან

10 ივნისს სოხუმში ატეხილი სროლის დროს, მოკლეს გალის რაიონის მილიციის თანამშრომელი, ეროვნებით აფხაზი, როინ ჩერქეზია. იმავე შეტაკების დროს დაიჭრა მილიციის სხვა თანამშრომელი, აფხაზი ეკა ახალაია. აფხაზეთის სპეცსამსახურებმა ინციდენტში დაადანაშაულეს ქართული პარტიზანული ორგანიზაცია „თეთრი ლეგიონის" მებრძოლები. იტარტასის ცნობით, ქართველი პარტიზანების ჯგუფი ბლოკირებულია ძნელად მისადგომ ტყის მასივში და ტარდება ოპერაცია მათი ლიკვიდაციის მიზნით. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ქჩაჩის თქმით დივერსანტები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ჩანთა, რომელშიც დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება იყო ჩალაგებული. (ბი ჯი აი)

## ზურაბ ჟვანიამ მიიღო იუნესკოს დელეგაცია

გუშინ იუნესკოს დელეგაცია, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად ჩამოვიდა საქართველოში, მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ. „ჩვენ ძალზე გვაღარდებს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ბედი აფხაზეთში და დაინტერესებულნი ვართ იმაში, რომ თქვენი ინფორმაცია მაქსიმალურად სრული და მომცველი იყოს", – განუცხადა სტუმრებს ზურაბ ჟვანიამ. საუბრისას აღინიშნა, რომ აფხაზურმა მხარემ არ დაუშვა საკუთარ ტერიტორიაზე ქართველი სპეციალისტები კულტურული ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად. გუშინ იუნესკოს დელეგაცია აფხაზეთს გაემგზავრა. (ბი ჯი აი)

## საგამშვებო პუნქტზე რეჟიმის შეცვლა რუსეთის მთავრობის პრეროგატივაა – აცხადებს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი ა.ნიკოლაევი

აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანა „არანაირად არ აისახება რეგიონში რუსი მესაზღვრეების საქმიანობაზე" – განაცხადა „ინტერფაქსისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა, არმიის გენერალმა ანდრეი ნიკოლაევმა.

მისი თქმით, დღეისათვის გამშვებ პუნქტზე არსებული რეჟიმი არანაირად არ არის დაკავშირებული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნასთან და მისი შეცვლა რუსეთის მთავრობის პრეროგატივაა.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის ანდრეი ნიკოლაევის აზრით, რუსეთი, როგორც მომრიგებელი მხარე ვალდებულია თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს მოლაპარაკებების პროცესის შედეგები, ვინაიდან დაინტერესებულია რეგიონში სრული სტაბილური ვითარების შექმნით. (მექსპრესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მტრის გასრესა სიამოვნებაა“

*11 ივნისი ითვლება სისხლიანი ტერორის დასაწყისად. ერთი წლის განმავლობაში დაპატიმრებული იქნა 4 მილიონ 700 ათასი კაცი, რომელთაგან 800 ათასს დახვრეტა მიესაჯა.*

## ვერსია — პირველი. ანტისემიტიზმი

გავრცელებული ვერსიაა: სტალინი ცდილობდა ერთი დარტყმით გაეწმინდა არმია ებრაელებისაგან, რადგანაც ისინი „ხრწნიდნენ“ შეიარაღებულ ძალებს. ამ ვერსიას მხარს უჭერენ დღევანდელი სტალინისტები და ნაციონალისტები. ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, განვიხილოთ ეს ვერსია.

ლენინის სისხლში, როგორც მინიმუმი, მეოთხედი ებრაული იყო. დავაზუსტებთ: დედა, მარია ალექსანდროვნა, იზრაილ ბლანკისა და შვედი ანა გროსშოფის შვილი. იზრაილ ბლანკი, იმისათვის, რომ მიეღო პეტერბურგის მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში სწავლის უფლება, 1820 წლის ივლისში მოინათლა და მიიღო თავისი ახლობლის ალექსანდრე აპრაქსინის სახელი.

თუ ვივარაუდებთ, რომ მარია ალექსანდროვნას (იზრაელის ასულის) დედასაც შვედურის გარდა ებრაული სისხლიც უჩქეფდა ძარღვებში (არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ანა გროსშოფის მშობლები იუველირები, მექუდეები და იურისტები იყვნენ, რაც ამ დროს „ნაციონალიზირებულ“ ხელობას წარმოადგენდა), მაშინ ლენინს მეოთხედზე მეტი გამოუდის ებრაული სისხლი.

ტროცკი, სვერდლოვი, კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი, კაგანოვიჩი – ეს სტალინის გარემოცვა იყო. ისინი მის გვერდით იყვნენ სამსახურში. ცხოვრებაში? სტალინის მეორე ცოლი, ნადეჟდა ალილუევა მეგობრობდა პოლინა ჟემჩუჟინა-მოლოტოვასთან (პერლ კარპოვსკი), *(ფრჩხილებში მამების გვარები უნდა იყოს მითითებული, – მთარგ. შენიშვნა)* ეკატერინა ვოროშილოვასთან (გოლდო ჰორბრამი), მარია კაგანოვიჩთან; ბუხარინის მეორე მეუღლე ესთერ გურვიჩთან, ანდრეევის მეუღლე დორა ხაზანთან, სარა იაკირთან, კიროვის მეუღლე მარია მარკუსთან.

სტალინისათვის ეს ფონი არ იყო სახიფათო. უფრო მეტიც, იაკობის ბოლო (მესამე) მეუღლე გახდა იულია მელცერი (იაკობი მისი მეხუთე ქმარი იყო). ებრაელი იყო სტალინის უმცროსი ვაჟის პირველი ცოლი გალინა ბურდონსკაია.

სტალინის ქალიშვილის სვეტლანას პირველი კაცი ცხოვრებაში ასევე ებრაელი იყო, ალექსეი კაპლერი (შემდგომში „კინოპანორამის“ წამყვანი). თუმცა, ლურიამ (ასე მიმართავდნენ ახლობლები) სვეტლანას გულისათვის ათი წლის კატორღა „გაიხერხა“. სვეტლანას პირველი ქმარიც ებრაელი იყო – გრიგორი მოროზი. სტალინი არ იყო ამ ქორწინების წინააღმდეგი.

ერთი სიტყვით, ბელადის ოჯახში არ იყვნენ ანტისემიტიზმით დაავადებულნი.

## ვერსია — მეორე. კლინიკური

საკმაოდ პოპულარულია: სტალინი პათოლოგიური მანიაკი – მკვლელი იყო. არც ისე მარტივად არის საქმე. და მაინც, პირველმა სტალინს „პარანოის“ დიაგნოზი პროფესორმა ბეხტერევმა დაუსვა. სხვათა შორის, სტალინმა თვითონ მოისურვა მასთან შეხვედრა. „ამ პაციენტს კლასიკური პარანოია აწუხებს, – უთხრა ბეხტერევმა ასისტენტს, – საბჭოთა კავშირის სათავეში საშიში პიროვნება დგას“.

გაგრძელება მე-8 გვ.

## კრემლი და ტერორი



ბელადის უახლოესი გარემოცვა (სახეები შემოხაზულია) აბრეთვე დახარალდა რეპრესიებისაგან. მარცხნიდან მარჯვნივ: ჟდანოვი — დაიღუპა გაურკვეველ ვითარებაში, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, კალინინი — მათი მეუღლეები და ნათესავები რეპრესირებულნი იყვნენ.

# ვის არ სძინებია კლინტონის ოჯახურ ლოგინში!



კლინტონები საუზმობენ სადად, მაგრამ საკუთარ ხარჯზე

„ეს არის თეთრი სახლი?“ იმედგაცრუებით წამოიძახა ბრეჟნევმა, როდესაც მას პენსილვანია ავენიუზე მდებარე ნომერ 16000 შენობა დაანახეს. მოკრძალებულ, მდელოთი გარშემორტყმულ ოთხსართულიან შენობას, რომელიც წესით, შეერთებული შტატების სიმდიდრის და სიძლიერის სიმბოლო უნდა ყოფილიყო, გენსეკზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მაგრამ ყველაფერი ფარდობითია; გასული საუკუნის დასაწყისში მოხუცები კიცხავდნენ პრეზიდენტ ჯეფერსონს და აღნიშნავდნენ, რომ მის სამფლობელოში, რომელიც 132 ოთახისგან შედგება, ორი იმპერატორისთვის – რომის პაპისა და დალაილამისათვის სრულიად საკმარისი ადგილია. პატარა ბრუნეის დღევანდელი მმართველის ახლანდელი სასახლე კი 20-ჯერ მეტია თეთრ სახლზე, საიდანაც ამერიკა მსოფლიოს თავის პოლიტიკურ ნებას კარნახობს! ამასთანავე თეთრი სახლი პრეზიდენტის ოფისი და საცხოვრებელი ადგილიც არის, ამის გარდა მას მუზეუმის, მაღალი სტუმრების და, უბრალოდ, მეგობრების სასტუმროს ფუნქციებიც აკისრია.

თეთრი სახლის დათვალიერების მსურველნი, აღმოსავლეთის მხრიდან სამმეტრიან მეტალის ღობესთან გროვდებიან. ჰუვერმა 1930 წელს ყველა ვაშინგტონელი ახალი წლის აღსანიშნავად თავისთან მიიწვია, მოვიდა 6 ათასი კაცი, ყოველ მათგანს მან ხელი ჩამოართვა. მართალია, 2 წლის შემდეგ ამდენი ხელისქნევით საბოლოოდ დაღლილმა ამჯობინა დღესასწაულებზე გაქცეულიყო დედაქალაქიდან და ტრადიციაც მიივიწყეს.

თეთრ სახლში გასეირნება არ გაოცებს. თქვენ ხვდებით კარგად მოწყობილ სახლში, მაგრამ არა სასახლეში. უბრალო კედლები, დღევანდელი პრეზიდენტის წინამორბედთა პორტრეტები, მოკრძალებული ავეჯი. მყუდრო საზეიმო პალატები და სასტუმრო ოთახები ფუფუნების პრეტენზიის გარეშე. პარკეტზე სიარულის ნებას პირდაპირ ფეხსაცმელებში იძლევიან, ხალიჩები კი აკურატულად აკეცილია, რათა ყოველდღიურად აქ მომსვლელმა 5 ათასმა ტურისტმა არ გათელოს. „უკაცრავად, მაგრამ აქეთ არ შეიძლება, – ამბობს მცველი შირმის წინ, საიდანაც ორატორის ხმა მოისმის – აქ პრეზიდენტი იღებს ვესტ-პოინტის აკადემიის გამოშვებულებს“.

შტატის მიხედვით თეთრი სახლის მეურნეობას 36 კაცი უძღვება. სამი ცერემონმაისტერი, შეფ-პოვარი და 5 მისი დამხმარე, მაჟორდომი, შვეიცარი, ექვსი მნე, რვა მსახური ქალი, მებაღე, ოფიციანტები. მათი უმრავლესობა რამოდენიმე პრეზიდენტის მომსწრეა, თეთრ სახლში მუშაობის საშუალო სტაჟი 15 წელს შეადგენს. მაგრამ არასწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტი ყოფის ყველა პრობლემისგან თავისუფალია. ალბათ, ეს ზოგიერთ ქვეყნის ლიდერს გააკვირვებს, მაგრამ კლინტონი ოჯახზე გახარჯული პროდუქტის, ქიმწმენდის, სამრეცხაოს, ტელეფონის ხშირი სარგებლობის საფასურს საკუთარი ჯიბიდან იხდის. და ეს კიდევ შეღავათიანად ითვლება, რამეთუ პირველი პრეზიდენტები ვალდებულნი იყვნენ ოფიციალური მიღებებიც საკუთარი ჯიბიდან გაესტუმრებინათ.

კლინტონები პურმარილიანობით არიან ცნობილნი. მარტო ლინკოლნის საძინებელში მათი თეთრ სახლში ყოფნის პირველი 4 წლის განმავლობაში 938 მეგობარმა და ნაცნობმა გაათია ღამე! ბუნებრივია, რომ ასეთი გასაქანის საშუალებას პრეზიდენტის წლიური ხელფასი (200 ათასი დოლარი), რომელიც უკანასკნელად ნიქსონის დროს გაზარდეს, არ იძლევა. გასულ წელს ანგარიშის გასწორებაში ბილს ჰილარი დაეხმარა, რომელსაც თავისი წიგნის ჰონორარის წყალობით, მასზე სამჯერ მეტი წლიური შემოსავალი ჰქონდა. მაგრამ ღმერთმა არა ქნას, პრეზიდენტს დაავიწყდეს, თავისი გოგონას დაბადების დღეზე მოსული ამხანაგების მიერ შეჭმული ჰამბურგერების საფასურის გადახდა.

და მაინც თეთრ სახლს მფლანგველობაში ადანაშაულებენ. კლინტონს ლანძღავენ იმიტომ, რომ არ შეასრულა დანაპირები და 25 პროცენტით არ შეამცირა ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც 1015 თანამშრომელს, 170 მივლინებულს და 43 დროებით კონსულტანტს ითვლის. შემცირების მაგივრად საჭირო გახდა ნარკოტიკების, კონტროლის განყოფილების გაფართოება და ახალი იურისტების აყვანა, რომლებიც ადმინისტრაციის წინააღმდეგ აღძრული სარჩლებით არიან დაკავებულნი (იმ საქმეთათვის, რომელიც პირადად კლინტონს ეხება, იგი ვალდებულია თავად დაიქირაოს ადვოკატი, რაც მას უკვე მილიონნახევარი დოლარი დაუჯდა. ვალების გასტუმრებაში დასახმარებლად მისი თანამოაზრენი ფულს პრეზიდენტის იურიდიული მხარდაჭერის ფონდის საშუალებით აგროვებენ). მთელი ეს გუნდი თეთრ სახლში ვერ ეტევა და დაკავებული აქვს მეზობლად მდებარე „მთავრობის ძველი შენობა“. ამბობენ, რომ აპარატი დიდი დაძაბულობით მუშაობს და ხშირად არასამუშაო საათებშიც კი. მაგრამ ალბათ საქმეს ვერ აუვიდოდა, რომ არა ათასობით ვო-

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

• დღიურები

## რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

### სასქესო ორგანოები დააჭრეს და ისე მოკლეს

2/IX — 26/X,92 წ.

ისე გავიდა თვე, რომ ქალაღდს და კალამს არ გავკარებივარ.

დღედაღამ ენაგადმოგდებული დავრბივარ; საქართველოში სამამულო ომია და საომარი მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს, „ყველაფერი ფრონტისათვის“ — ეს ლოზუნგი ამოვიღოთ ძველი სტრატეგიული სკივრიდან-მეთქი.

ვინ გისმენს.

შევარდნაძე ყოველდღე ატარებს 5 საათიან სახელმწიფო საბჭოს სხდომებს უშედეგოდ — საბჭო, როგორც მოველოდი, მხოლოდ სალაყბოა და მეტი არაფერი.

ნერვიულობისაგან კუჭის წყლული გამიმწვავდა, მუხლის ანთებამაც შემომიტია. ჯოხით დავდივარ.

ოქტომბრის პირველ დღეებში აფსუა-ჩეჩნებმა რუსის ჯარის უშუალო დახმარებით შემოგვიტიეს და გაგრა წაგვართვეს. „ვრემიამ“ აჩვენა, რა ფართხაფურთხით გამორბოდნენ ჩვენი ბიჭები ახალი, რუსული, დისტანციური მართვის ტანკების დანახვისას.

მესამე დღეს წაგვართვეს განთიადი და ლესელიძეც.

თითქმის დავმარცხდით.

ჩვენი „გვარდია“ სოხუმისკენ გამოიქცა და აქ გამაგრდა.

ჯერჯერობით ჩეჩნები, რუსები და აფსუები სოხუმს არ უტევენ.

შევარდნაძე გაფითრებული — შეშფოთებული ლაპარაკობს: რუსებმა (ელცინმა) მოგვატყუეს, 3 სექტემბრის ხელშეკრულებით ხელები შეგვიკრეს და აფხაზებს იარაღ-ცოცხალი ძალით დაეხმარნენო.

მე ვიცი, რომ ჩვენ აფსუა-ჩეჩნებთან კი არა, რუსებთან დავმარცხდით, მაგრამ დამარცხებულის სინდრომი საშინელი ყოფილა.

აღებულ ტერიტორიაზე მტრებმა ქართველთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. სამასი ქართველი ერთბაშად დახვრიტეს სტადიონზე. აუპატიურებდნენ მცირეწლოვან გოგონებსაც კი. მთლიანად დახვრიტეს ქართველი ექიმები და ქართველი ავადმყოფები საავადმყოფოში. სასქესო ორგანოები დააჭრეს და ისე მოკლეს აფხაზკურორტის დირექტორი ბარამია.

აფხაზეთიდან გამოქცეულთა რიცხვმა 30 ათასს გადააჭარბა.

ჯერჯერობით ჩვენი თავზარდაცემული ჯარი სოხუმიდან ნაბიჯს ვერ დგამს წინ.

1 სექტემბერს რუსებმა 6 ტანკი დაგვიწვეს. 3 სექტემბერს შევარდნაძეს ეს ფაქტი არ უხსენებია.

11 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნები ჩატარდა. აირჩიეს შევარდნაძე თავმჯდომარედ.

არა და შევარდნაძის პოლიტიკამ აბსოლუტური კრახი განიცადა.

1) დავკარგეთ სამაჩაბლო (დაგომისის ხელშეკრულება);

2) დავკარგეთ აფხაზეთი (3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულება);

3) უკან წავედით ეკონომიურად;

4) ვერ ავლაგმეთ ბანდიტები;

სად ჩანს შევარდნაძის დიდი სიბრძნე? ეს დავწერე ბორჯომის გაზეთში 10 ოქტომბერს.

ამის გამო:

კვლავ გადამიკეტა (ეს უკვე მერამდენედ) აჩიკო გოგელიამ გზა რადიოტელევიზიისაკენ.

არ გადასცა 9 სექტემბერს ჩანაწერი ტელევიზიით (რ.ოსეფაიშვილმა ჩაწერა).

არ გადასცეს 22 ოქტომბერს ორი ჩანაწერი (ც.შანიძემ ჩაწერა).

ესეც თქვენი დემოკრატია.

ისე არ მოვკვდებოდე, რომ აფსუა-ჩეჩენი მკვლელების დარდი ჩამყვეს სამარეში, სხვისას არას დავეძებ.

ნუთუ გაგრას ველარასოდეს დავიბრუნებთ?

ერთი თვის წინ ჩვენი ჯარი გუდაუთას მიადგა და შევარდნაძე გაჰიჰინდა — არ შეხვიდეთო!

რაშია საქმე?

### ისევ სატელევიზიო მეტიჩრობანი...

27/X — 5/XI,92 წ.

მცხეთაში და ლამისყანაში დავით გურამიშვილის საიუბილეო დღეები გავმართეთ. ორივეგან სიტყვით გამოვედი; ორასი წლის დავით გურამიშვილი დღესაც გვაფრთხილებს — „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი“, — ყველა ჩვენი მტერია-მეთქი. გვაფრთხილებს — როგორც მამლები, ნუ დაწიწკნით ერთმანეთს-მეთქი.

3 ნოემბერს რუს-აფსუა-ჩეჩენთა გაერთიანებულმა ჯარმა სოხუმს შეუტია. რის ვაი-ვაგლახით მოიგერია ჩვენმა ჯარმა შეტევა, მაგრამ დავკარგეთ 35 კაცი და სამი ტანკი. ფაქტიურად რუსეთს ვებრძვით. 3 და 4/XI-ს რუსულმა თვითმფრინავებმა დაგვბომბეს სოხუმთან (ამის შესახებ გ.ხაინდრავამ განაცხადა), ჩვენი პარლამენტი კი უბრალო ნოტასაც არ უგზავნის რუსეთის მთავრობას.

რაშია საქმე?

ჯანრი კაშია მეწვია უნივერსიტეტში. დიდხანს ვილაპარაკეთ. ოპტიმისტია. ასე და ასეა ჩვენი საქმე, რუსი გვლუპავს-მეთქი, სამაგიეროდ, მორალური გამარჯვება ჩვენს მხარეზეაო. ევროპის პრესა კარგს წერს ჩვენზეო.

ეს რა შეღავათია-მეთქი, რატომ გვეპყრობა-მეთქი ევროპა და ამერიკა ღარიბი ნათესავივით, რატომ ქმედითად არ გვეხმარება-მეთქი. დრო მოვა — დაგვეხმარებაო.

როდის მოვა ეს დრო? სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავს რომ გააძრობენ?

4-ში პარლამენტმა დაიწყო მუშაობა. ისევ სატელევიზიო მეტიჩრობანი, პარტიული ამბიციები, სხდომის კულტურის დაბალი დონე.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-54.

### ჩიბიროვი მზად არის დაიცვას თავისი ხალხის ინტერესები

ოსური მხარე სრულად ასრულებს 1997 წლის 4-5 მარტის მოსკოვის ოქმში დაფიქსირებულ შეთანხმებებს, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ლუდვიგ ჩიბიროვმა გაზეთ „სამხრეთ ოსეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. „ჩვენი მხრიდან არ დარღვეულა არცერთი ვალდებულება და თუ ქართულმა მხარემ ასეთი კეთილი ნება გამოავლინა, რეალურ შედეგებს უნდა ველოდეთ“, — განაცხადა ჩიბიროვმა. ივნისში დაგეგმილია მხარეების შეხვედრა ცხინვალში, რომელზეც განიხილავენ ეკონომიკის რეაბილიტაციის და სახალხო მეურნეობის აღდგენის საკითხებს. „ჩვენ მოლაპარაკებების მომხრენი ვართ და ამ მოლაპარაკებებზე მკაცრად დავიცავთ ჩვენი ხალხის ინტერესებს“, — აღნიშნა ჩიბიროვმა. (ბი ჯი აი)

• წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

# ქვეყანას ანგრევს ლიდერის გარემოცვა...

## ფილიპ ბობკოვი

ასევე გაუსწორდნენ სხვებსაც. ჯერ კიდევ ვასილიევის საქმის გარჩევის პროცესში მოინახა მასთან მიტმასნილი სხვა ხალხი.

როდესაც მოსკოვის წარგზავნილებს მოეჩვენათ, რომ პლენუმი არასაკმარისად კორექტულად მიმდინარეობს, თავმჯდომარეობის მძიმე ტვირთი შკირიატოვმა აიღო. იგი თვითონ საზღვრავდა, თუ ვინ უნდა გამოსულიყო და ბოლოს თვითონ გამოვიდა სიტყვით.

მან იმით დაიწყო, რომ ეთანხმება ივანოვის პარტიული ორგანიზაციის კაგანოვიჩისეულ შეფასებას და მოუწოდა კომუნისტებს, ებრძოლათ შინაური მტრების წინააღმდეგ. შემდეგ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ზოგიერთი პარტიული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, კერძოდ, ივანოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ი.პ.ნოსოვისა, სწორედ რომ დროულია.

— ამხანაგი ნოსოვი, — განაცხადა მან, — როგორც პარტიის ცკ-ს წევრი, იყო ბოლო პლენუმზე, სადაც ამხანაგმა კაგანოვიჩმა გააკეთა განცხადება მავნებლების შესახებ სარკინიგზო ტრანსპორტზე. შემდეგ ამხანაგი ორჯონიკიძის მაგივრად, მისი გარდაცვალების გამო, სიტყვებით გამოვიდა ამხანაგი მოლოტოვი — მძიმე მრეწველობაში მავნებლობის თაობაზე. სიტყვით გამოვიდა სტალინი, ცკ-ს მიეცა მითითება ამ საკითხის გარშემო... ამხანაგ ნოსოვს ყველაფერი ესმოდა, ყველა მოხსენება, თავიდან ბოლომდე. იქ კი გარკვევით იყო მითითებული, ცალკეული მაგალითების გამოყენებით, თუ როგორ ჩუმად მოიპარება მტერი, შეუმჩნევლად იკავებს ადგილს ჩვენს გვერდით... ამხანაგ სტალინის მოხსენებაში და დასკვნით გამოსვლაში გარკვევით იყო ნათქვამი, თუ როგორ უნდა ვეძებოთ მტრები... როგორი მტრები, სად უნდა ვეძებოთ. ნოსოვი ამ პლენუმზე იყო, მაგრამ ამის შემდეგ რაიმე გააკეთა პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მტრების მხილების მიზნით? მათი პოვნა კი შეიძლებოდა... ირგვლივ სულ მტრები არიან.

სტალინის წარგზავნილები გაცხარებით აკრიტიკებდნენ საოლქო პარტორგანიზაციას. ისინი მოუწოდებდნენ, სერიოზულად ებრძოლათ ჯერ კიდევ უცნობი მტრების გამოსავლენად. შემდეგ კაგანოვიჩმა წაიკითხა პარტიის ცკ-ს დადგენილება, რომელიც რეკომენდაციას აძლევდა ვ.ი. სიმოჩკინს ივანოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე. შკირიატოვმა შემოიტანა წინადადება, საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე აერჩიათ სიმოჩკინი, და წესდების დარღვევით, ფარული კენჭისყრის ნაცვლად იქ მყოფებს შესთავაზა უბრალოდ ხელის აწევით დაედასტურებინათ თავისი დამოკიდებულება, რის შემდეგაც სიმოჩკინი ავიდა ტრიბუნაზე და წაიკითხა მიმართვა სტალინისადმი:

— ძვირფასო ბელადო, საყვარელო მეგობარო და მასწავლებელო, ამხანაგო სტალინ! შენ მიგყავს ჩვენი პარტია და ხალხი ახალი გამარჯვებებისაკენ! შენი მახვილი თვალი... და ასე შემდეგ.

შემდეგ სიტყვა ისევ კაგანოვიჩმა აიღო:

— ჩვენი დღევანდელი ბიურო თითქოსდა ლიკვიდირებული აღმოჩნდა. სულ ორი ადამიანი დარჩა — კოვალიოვი და კირიანოვა. მე ასე ვფიქრობ: თქვენი საქმეა განსაჯოთ, მაგრამ, მე მგონი, არ არის საჭირო დიდი ბიუროს არჩევა, საჭიროა დავაკვირდეთ ხალხს. მალე ახალი კადრები მოვა. ამიტომ არის წინადადება: ამჟამად ორი ადამიანი გვყავს, დავუმატოთ კიდევ სამი და იქნება სულ ხუთი. ეს, ცოტა არ იყოს, საგანგებო ბიურო იქნება, მაგრამ მდგომარეობაც საგანგებოა, თითქმის საალყო... მოგვიხდება ჩვეული ნორმების დარღვევა. მართალია, წესდების დარღვევამ მოგვიწია, მაგრამ წესდებაში არასდროს არ ყოფილა გათვალისწინებული, რომ ბიუროს წევრების ნახევარზე მეტი მოღალატეები აღმოჩნდებოდნენ, ასე რომ, გამონაკლისი, მე მგონია, საფუძვლიანია. პატარა ცოდვაა, მაგრამ, მე, როგორც ცკ-ს წარმომადგენელი, შეგინდობთ.

მე მგონია, ზედმეტია ამგვარი გაუნათლებელი ადამიანის გამოსვლის კომენტირება (რაც ნათლად ჩანს სტენოგრამიდან). იგი იმის დამამტკიცებელია, რომ დაუნდობელი პატრონი სასტიკად უსწორდებოდა ადამიანებს და ასცინოდა მათ პიროვნულ „მე“-ს.

ასე უხეშად არღვევდნენ წესდებას, არაფრად აგდებდნენ პარტიულ ნორმებს, შკირიატოვმა და კაგანოვიჩმა თავისას მიაღწიეს. მათი წასვლის შემდეგ ივანოველი კომუნისტების მთავარ ამოცანად გადაიქცა ფარული მტრების გამოვლენა. პარტიის ახალი ხელმძღვანელობა მიახვედრეს, რომ მისი მუშაობის ხარისხის შესახებ ცკ-ში გამოვლენილი მტრების რაოდენობით იმსჯელებდნენ.

ეს არ იყო მხოლოდ მუქარა. პლენუმს წარუდგინეს НКВД-ს საოლქო სამმართველოს ახალი უფროსი ა.პ.რაძივილოვსკი. თუმცა, უკვე 1939 წელს იგი დაპატიმრებული იყო, ხოლო 1940 წელს კი დახვრეტილი საქმეების ფალსიფიკაციის გამო.

სტენოგრამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზუსტად ამგვარად ტარდებოდა პლენუმები სხვაგანაც.

ბელადის გარშემომყოფების მოქმედება — ეს იყო კულტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წანამძღვარი. თუ გავაგრძელებთ კულტის წარმოშობის მიზეზების ძიებას, კიდევ უფრო ნათელი გახდება ბელადის გარემოცვის მოქმედების დამღუპველი როლი, რომელიც ხშირად პარტიული და სახელმწიფო მეთაურების მაგივრობას ასრულებდა.

ასე მოხდა სტალინის სიკვდილის შემდეგაც. ხრუშჩოვმა ამხილა სტალინის კულტი, და მაშინვე აღმოცენდა თვით ხრუშჩოვის კულტი. ვინ შექმნა იგი? ისევ გარემოცვამ. სწორედ ხრუშჩოვის დროს შეიქმნა თანამდებობები, რომლებმაც „ხელისუფლების ახალი სტრუქტურა“ განსაზღვრეს — გენერალური მდივნის მოადგილეები. მოსკოვში ჩამოჰყავთ ერთგული ხალხი უკრაინიდან. იქმნება გენერალური მდივნის ერთგული გარემოცვა. ტრიუმფად „სასახლო ათწლეული“ იქნა მიჩნეული. გაიხსენეთ ფილმი „ჩვენი ნიკიტა სერგეევიჩი!“

ამ დროს კი ქვეყნიდან გადის ოქრო, რომელსაც პურისთვის იხდიან, იზრდება ფასები ხორცზე, შენდება „უძრაობის“ ფუნდამენტი.

სწორედ მაშინ შემოიღეს ადგილობრივი კადრების ხელშეუხებლობის პრაქტიკა. შეიძლება მართლაც საჭირო იყო რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში საკუთარი კადრების გაფრთხილება. თვით ეს იდეა თავისთავად არ იყო ცუდი, რომ არა მისი შესრულების მექანიზმი, რომელიც „ხელი ხელს ბანს“ პრინციპს ემსახურებოდა. სამხარეო, საოლქო კომიტეტებისა და რესპუბლიკების ცკ-ს მდივნები ათეული წლების მანძილზე ისხდნენ თავიანთ ადგილებზე, ყოველნაირად ამაგრებენ თავის პოზიციებს, ცალკეული სამთავროების ბატონებად იქცეოდნენ. ისინი სუკის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებსაც „თავისიანების“ რიგებიდან ირჩევდნენ. ჩვენ ვებრძოდით ყოველივე ამას, რაც შეგვეძლო. მაგრამ ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ ვინმეს საკადრისი წინააღმდეგობა გაეწია ადგილობრივი ხელმძღვანელობის დაწოლისათვის. თუნდაც თავისი დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

უშიშროების ორგანოების „ჯიბის“ მეთაური სულაც არ ჩქარობდა ცენტრის ინფორმირებას, მაშინაც კი, როდესაც, როგორც იტყვიან, „ფეხქვეშ მიწა იწვოდა“.

გარემოცვის ცნება, სამწუხაროდ, თანამებრძოლის უფრო ფართო ცნებით შეიცვალა. ეს არ იყო შემთხვევითი. თანამებრძოლი რაზმის თანაბარუფლებიანი წევრია, რომელსაც ყველასთან ტოლი ხმის უფლება აქვს. მისი აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს ლიდერის აზრს. ამაშია ამ ცნების აზრი. თანამებრძოლი ლიდერის ახლობელი ადამიანია, რომელიც ეხმარება მას საჭირო გადაწყვეტილების მიღებაში, იფარავს შეცდომისაგან. მათი ურთიერთობა აგებულია კეთილ მეგობრობაზე და შენარჩუნებულია შეხედულებათა დამოუკიდებლობა.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №53,54.

მეოთხე გვერდიდან

ეს იყო 1927 წლის დეკემბრის ბოლოს. ერთი დღის შემდეგ ბეხტერევი მკვდარი იპოვეს. ექიმმა გაკვეთის შედეგად მოწამვლის დიაგნოზი დასვა. პათოლოგანატომი დახვრიტეს.

1988 წლის სექტემბერში ბეხტერევის დიაგნოზი დაადასტურა ფსიქიატრმა ე.ლიჩკომ. ცნობილმა ფსიქიატრმა ალან ბულოკმა, ადარებდა რა სტალინისა და ჰიტლერის ფსიქიკებს, აღნიშნა, რომ მათ „არ ჰქონდათ შიზოფრენიის ტიპის ორგანული დაავადება, ადგილი ჰქონდა მხოლოდ პიროვნების პარანოიდული სტრუქტურას,



# „მტრის გასრესა სიამოვნებაა“

რითაც აიხსნება აბსოლუტურად ყოველი მათი მოქმედება. ფსიქიატრიის თვალსაზრისით, მსგავს პარანოიდულ პიროვნებას ბოდვითი იდეების შეურყეველი სისტემა აქვს“.

სტალინის პირადი ექიმი, პროფესორი პლეტნიოვი აგრეთვე აღნიშნავდა, რბილად რომ ვთქვათ, ბელადის უცნაურობებს.

დევნის მანია – უმთავრესი ნიშანია პარანოიდალური ფსიქოზისა, სტალინს მუდამ თან ჰქონდა პისტოლეტი (მისი დაცვის პატრონი!). ოთახში შესვლისას (ფარდები სპეციალურად დამოკლებული იყო, რათა მათ უკან არავინ დამალულიყო) კუთხეებს ათვალიერებდა. ხოლო სახლში დაბრუნებისას საწოლის ქვეშ შეიხედავდა. კრემლში ცხოვრების დროს ცალკე იკვებებოდა (დანარჩენები სოვნარკომის სასადილოდან იღებდნენ საჭმელს). არავინ (დაცვამაც კი) არ იცოდა, ხუთი მანქანიდან რომელში ჩაჯდებოდა. ყველა საწოლი ოთახის კარები დაჯავშნული იყო და მხოლოდ შიგნიდან იკეტებოდა.

სტალინის გამოთქმათა შორის უსაყვარლესი იყო: „მამაკაცისათვის უმაღლესი სიამოვნებაა – გასრისოს მტერი, ხოლო შემდეგ ერთი სასმისით შესვას კარგი ქართული ღვინო“.

აღარ ჩამოვთვლი მისი ყოფის ყველა უცნაურობას. ჩემს, მამობრივ დაკვირვებას გაგიზიარებთ. შეუძლია ჯანმრთელ ადამიანს იცინოდეს ამგვარი გართობის დროს: ექვსი თვის ვაჟს (ვასილის) იყვანს ხელში და თამბაქოს ბოლს სახეში აბოლებს?

შეიძლება ნორმალურ კაცმა, მოზრდილი ვაჟის მამას, შეყვარებული ბიჭის თვითმკვლელობის მცდელობას ასეთი კომენტარი გაუკეთოს: „ჰა, ააცდინა...“ (იაკობი ჭრილობის გამო დიდხანს ავადმყოფობდა).

ნორმალურ ადამიანს (ბავშვის ცრემლებისა და ისტერიკის იგნორირებით) როგორ უნდა შეეძლოს პატარა გოგონას (სვეტლანას) და მის მეგობარს დაამალოს კოცონზე გადახტომა? *(ალბათ, ჭიაკოკონობაზე უნდა იყოს ლაპარაკი, – მთარგ. შენიშვნა)*

გორკი წერს „ლენინის შესახებ ნარკვევში“: „შურისძიება და ბოროტება ხშირად ინერციით მოქმედებენ. რა თქმა უნდა, არსებობენ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, სხვათა ტანჯვით რომ სიამოვნებას ღებულობენ“. გორკიც უცნაურად გარდაიცვალა, როგორც ცნობილია. გვიანდელ გამოცემებში ეს ფრაზა ამოღებულია.

სტალინი დაავადებული იყო მეგალომანიით (განდიდების მანია). ამ გაგებით ბევრს შეუძლია მაგალითის მოყვანა. მაგრამ, აი ფაქტი, რომელიც ყველაზე დამახასიათებელია: სტალინი ავტობიოგრაფიაში (მილიონობით ტირაჟით მრავალ ენაზე გამოცემული) თავის თავს „გენიოსს“ და „ზეადამიანს“ უწოდებს.

ფსიქოლოგები ხუმრობენ: *„ჰიტლერი არის სტალინის ეპოქის მცირე ტირანი“.* სტალინი თავის თავს უწოდებდა: „მე ვარ – ლენინი დღეს!“ და ჭეშმარიტებისგან შორს არ იდგა.

სოლოუხინი წერდა, რომ გაკვეთის მომენტისათვის ლენინის ტვინი გადაიქცა მწვანე მასად, რაც სახალხო კომისარმა სემაშკომ დააფიქსირა. მარცხენა ნახევარსფერომ დაასახიჩრა მარჯვენა. სხვათა შორის, *ბაბუის, კალმიკელი მკერავის ხაზით ლენინის თითქმის ყველა ნათესავი საგიჟეთში ამთავრებდა სიცოცხლეს.*

ლენინის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს, რუსეთის მოსახლეობა 35 პროცენტით შემცირდა. სტალინმა მისგან მიიღო ესტაფეტა.

ეს არის 1937–38 წლების ტერორის „კლინიკური“ ვერსია.

## ვერსია – მესამე. შურისმაძიებლური

იმ დროის ხუთ მარშალს შორის ტუხაჩევსკი ყველაზე დიდი ტალანტის მფლობელი იყო. ბუდიონი მას ვერ იტანდა. 1920 წელს („პოლონეთის კამპანია“) ბუდიონმა და ვოროშილოვმა, სტალინის მდუმარე თანხმობით, არ შეასრულეს ლენინის ბრძანება პირველი ცხენოსანი დივიზიის ვარშავასთან გადასროლის თაობაზე. თავისი არსით, ამან გადაწყვიტა „მსოფლიო რევოლუციის“ ბედი, რამდენადაც რუსეთის პროლეტარიატმა ვერ შეძლო გერმანიისა და უნგრეთის პროლეტარიატთან გაერთიანება (როგორც ლენინი გეგმავდა). უფრო მეტიც, უსახურად დაიღუპნენ გაისა და აზინის დივიზიები. სხვა დროს ბუდიონს კედელთან დააყენებდნენ, მაგრამ სტალინმა მათი თავი არავის დააჩაგვრინა.

უნდოდათ ტუხაჩევსკისათვის გადაებრალებინათ ყველაფერი. ტუხაჩევსკიმ სამხედრო კრების ტრიბუნიდან ოპონენტებს მცირედი შანსიც კი არ დაუტოვა, სხვათა შორის, ტრაგედიის ნამდვილი დამნაშავენი არ „ჩაუშვა“. ტუხაჩევსკიმ დაივიწყა, ბუდიონმა – არა.

ტუხაჩევსკის ბრწყინვალე განათლება ჰქონდა. იგი თავადის გვარისა იყო. ცივი, თავაზიანი. მებრძოლები მას აღმერთებდნენ. მას შეეძლო თვალის ერთი შეხედვით შეეჩერებინა ჯარისკაცთა ქაოსი. ულმობელი იყო, დროის მოთხოვნების შესაბამისად. სისხლში ჩაახშო რამდენიმე აჯანყება.

სტალინს არ მოსწონდა ტუხაჩევსკის დამოუკიდებლობა, არმიაში მისი პოპულარობა. მისთვის ანგარიში უნდა გაეწია. არადა, არ უნდოდა.

ტუხაჩევსკი ძალიან ნიჭიერი იყო. *მან დააარსა სადესანტო ჯარები.* კიროვთან ერთად მოითხოვდა ავიასადესანტო ბრიგადის შექმნას. ვოროშილოვი და ბუდიონი ისევ „ტაჩანკის“ იმედზე იყვნენ, რომელსაც წინ ეწერა *„ჩემ ფეხს გამექცევი“, ხოლო უკნიდან კი „ჩემ ფეხს დამეწევი“...*

ტუხაჩევსკი ვიოლინოზე უკრავდა, ესენი კი იმით ამაყობდნენ, რომ ბალეტ „გედების ტბის“ მსვლელობის დროს „ავიქარების“ გაშვებით „საძულველი ინტელიგენტის“ ოჯახი აიძულეს ლოჟა დაეტოვებინათ (საძულველი ტუხაჩევსკის ვიოლინო, უკვე დახვრეტის შემდეგ, ფეხით გათელა ეჟოვმა).

ვოროშილოვი პათოლოგიურად ვერ იტანდა მეფის არმიის ოფიცრებს. ვოროშილოვს უყვარდა პარხომენკო. ამბობდა: „მისი ცხოვრება სიმღერას ჰგავს“. ტუხაჩევსკიმ დაუმატა: „როგორც მთვრალის სიმღერა“ (პარხომენკომ მთვრალი დებოშის დროს უდანაშაულო წითელარმიელი მოკლა. იყო ტრიბუნალი).

თავის დამცინავ სენტენციებს ვოროშილოვის მიმართ (ცხადია, ვოროშილოვის არყოფნის დროს) ტუხაჩევსკი ასე იწყებდა: „ჩვენი ლუგანსკელი ზეინკალი კლიმი...“ (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კლიმი არ იყო ზეინკალი, არამედ ჯერ შეგირდი, შემდეგ კი დამხმარე მუშა). ერთი სიტყვით, ტუხაჩევსკი არანაირად არ ეხამებოდა ამ წრეს. მიუხედავად ამისა, მას ფანატიკურად სჯეროდა სოციალიზმისა და პირადად სტალინისა. დახვრეტაც ღიმილით მიიღო, ხოლო ზალპის წინ შესძახა: „გაუმარჯოს სტალინს!“ (ალბათ, ასეთი ბრმა ადამიანების „ლოცვამ“ გააძლებინა სტალინს).

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

## ჯაბა იოსელიანმა საზოგადოებრივი დამცველი მოითხოვა

არასამთავრობო ორგანიზაციის – „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ – პასუხისმგებელმა მდივანმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ ადვოკატის საშუალებით უკვე გაეცნო ბრალდებულ ჯაბა იოსელიანის მიმართ წაყენებული ბრალდების მტკიცებულებებს და დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ მტკიცებულებათა დიდი ნაწილი ძალზე სუსტია, ზოგი კი – უსუსური. გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ამ პროცესზე მისი მთავარი მიზანი იქნება სიმართლის დაცვა, რათა არ მოხდეს მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი აზრის ან ხელისუფლების საშუალებით ზეწოლა, რის შედეგადაც შეიძლება კონკრეტულ დანაშაულში უდანაშაულო პიროვნება უსამართლოდ დაისაჯოს.

4 ივნისს ჯაბა იოსელიანმა ციხიდან ოფიციალურად ითხოვა ადამიანის უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის – „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ – პასუხისმგებელი მდივნის გელა ნიკოლაიშვილის მის საზოგადოებრივ დამცველად დანიშვნა. (მექსპრესი)

## საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვდა თავის კოლეგას რუსეთში

გუშინ, მოსკოვში ვიზიტით მყოფი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე შეხვდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს, იგორ სერგეევს და გენერალური შტაბის უფროსს, ანატოლი კვაშნინს. საუბრისას განიხილეს აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის საკითხი. იგორ სერგეევის თქმით, ის ყურადღებით გაეცნობა ამ საკითხს და ვარდიკო ნადიბაიძესთან ერთად უმოკლეს ვადებში მიიღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას. მოსკოვიდან ვარდიკო ნადიბაიძე ბრიუსელს გაფრინდება, სადაც შეხვდება ნატო-ს გენერალურ მდივანს, ხავიერ სოლანას. (ბი ჯი აი)

## თურქეთი მზად არის ინვესტიციების ჩასადებად საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში

გუშინ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკურ საკითხებში, ქალბატონი აიფერ ილმაზი. „დადგა დრო, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის გადებული ხიდი ეკონომიკურ კავშირებს უნდა ეყრდნობოდეს“, – აღნიშნა აიფერ ილმაზმა. მისი თქმით, თურქეთი ნათლად ხედავს რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის პერსპექტივებს. ამიტომ, თურქეთის მხარეს სურს გრძელვადიანი ინვესტიციები განახორციელოს საქართველოს ეკონომიკაში. ცნობილი სატრანსპორტო პროექტების გარდა, თურქეთი ინტერესს ავლენს საქართველოს აგროსექტორისადმი, მსუბუქი და კვების მრეწველობისადმი, საბანკო და ენერგეტიკის სფეროების მიმართ. (ბი ჯი აი)

## აბორიგენულ კულტურებს გადაშენება ემუქრება

განვითარებული ქვეყნები ცდილობენ განვითარებად ქვეყნებში დანერგონ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მათი გაზრდის ტექნოლოგიები. ამის გამო იქმნება აბორიგენული კულტურების გადაგვარების საშიშროება, – ნათქვამია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მასში აღნიშნულია, რომ მოვლენების მსგავსი განვითარების პირობებში, განვითარებად ქვეყნებში ვერ შეძლებენ საკუთარი სათესლე მასალების წარმოებას. კერძოდ, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს აბორიგენული სასოფლო-სამეურნეო კულტურები. 27–28 ივნისს ვარძიაში ჩატარდება სემინარი თემაზე: „აგრობიომრავალსახეობა“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექსპერტები გერმანიიდან. (ბი ჯი აი)

## ოსები მოლოდინში არიან

ოსური მხარე ოფიციალური თბილისისაგან ელის 1991–93 წლების მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება დიალოგის და მოლაპარაკებების პროცესის „აქტივიზირება, – განაცხადა ცხინვალიდან დაბრუნებულმა გაზეთ „პრავდას“ კორესპონდენტმა, ვლადიმერ სტატსკიმ. (ბი ჯი აი)

## „მოლაპარაკებები ეთნოწმენდისა და გენოციდის შედეგების დაკანონების საშუალებად არ უნდა იქცეს“

პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა მოსკოვში რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა აფხაზურ მხარესთან გამართული შეხვედრის ფაქტს. ე.შევარდნაძის თქმით, მოლაპარაკებები, ისევე, როგორც სამშვიდობო ძალების ინსტიტუტი, არ უნდა იქცეს აფხაზეთის მოსახლეობის ეთნოწმენდისა და გენოციდის შედეგების დაკანონების საშუალებად, რასაც სეპარატისტთა ლიდერები ისახავენ მიზნად. (იფრინდა)

## ღირსების მედალი ჟურნალისტს

საქართველოს პროკურატურის პრესცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, ჩვენი კოლეგა, ჟურნალისტი თეიმურაზ კვირკველია პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

ვულოცავთ ბატონ თეიმურაზს მისი შრომის ღირსეულ დაფასებას. საქართველოს პროკურატურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გადაუხვიეს ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ წესს (მოგეხსენებათ, ყოფილი თანამშრომელი აღარავის ახსოვს ხოლმე) და ღირსების მედალზე წარადგინეს ჟურნალისტი, რომელიც ამჟამად მათ სისტემაში აღარ მსახურობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოსელიანმა შეეშულება აილო ტერაქტის დღეს, 29 აგვისტოს დილით...

პირველი გვერდიდან

ამის გამო მრავალი ადამიანი დააპატიმრეს. თუმცა, თანამდებობის პირები, რომლებიც პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე აგებდნენ პასუხს - დღემდე დაუსჯელები არიან. გ.სულაძის აზრით, კვირაიას გავლენის ქვეშ აღმოჩნდა მისი პირველი მოადგილე ა.იოსელიანი.

ე.გოგოლაძის ჩვენებიდან გამომდინარე, მას უშიშროების მინისტრი დევნიდა იმის გამო, რომ მოწმე იყო იმისა, რომ ა.იოსელიანი ფლობდა ინფორმაციას ტერაქტის მზადების თაობაზე. ამის შესახებ ა.იოსელიანი ანგარიშს აბარებდა მოსკოვში მყოფ უშიშროების მაშინდელ შეფს ი.გიორგაძეს, მაგრამ არ აცნობა პრეზიდენტს. უფრო მეტიც, ა.იოსელიანმა აილო შეებულება და 29 აგვისტოს დილით თავის ქალიშვილთან და ი.გიორგაძის მეუღლესთან ერთად მოსკოვში გაფრინდა. ე.გოგოლაძის განცხადებით, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებობს მეხუთე კოლონა და დღეისათვის მიღებულია ყველა ზომა მისი პოზიციების გასამაგრებლად. „უშიშროების სამინისტრო უწინდებურად საშიშროების სამინისტროდ რჩება“ - განაცხადა ე.გოგოლაძემ (იფრინდა).

## „პრეზიდენტმა არ უნდა გამორიცხოს თავის გარემოცვაში პოტენციური მკვლელების არსებობა“

„დღეს მე რაც არ უნდა ვთქვა შ.კვირაიაზე, ეს ერთი წუთითაც კი არ უხსნის პასუხისმგებლობას ი.გიორგაძეს ტერაქტების ჩადენაში“ - განაცხადა დღეს სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთ თანამდებობის პირთა ანტიკონსტიტუციური ქმედებების დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, პარლამენტარმა ი.სარიშვილი–ჭანტურიამ. მისი თქმით, ი.გიორგაძეც და შ.კვირაიაც რუსეთის სპეცსამსახურებს ემსახურებიან. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შ.კვირაია ჩრდილში იმყოფებოდა. ი.სარიშვილი–ჭანტურიამ სხდომას წარუდგინა ზოგიერთი დეტალი, რომელიც ნათელს ჰფენს მისი და მისი მეუღლის გ.ჭანტურიას მიმართ ჩადენილ ტერაქტს. პარლამენტარის განცხადებით, პრეზიდენტმა არ უნდა გამორიცხოს მის გარემოცვაში მყოფი პოტენციური მკვლელების არსებობა.

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახნახევრიანი პრივატიზირებული ბინა ლოჯით, სათავსოებით, ტელეფონით. მე–5 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–16–50 მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“

იყიდება ვაკეში 2 სართულიანი სახლი ხეხილიანი ეზოთი, ავტოსადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22–47–99

## ქირავდება

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით და ავეჯით. ფასი 200$ ტელ. 36–48–10; 22–15–27; 39–33–33 ნინო

იყიდება ან ქირავდება მალაზია რესპუბლიკის მოედნის ქვეშ არსებულ კომპლექსში. 14 კვ.მ, ტელ. 99–99–25

ვაქირავებ ავტოფარეხს რიგის ქ.№2, ფასი 60 ლარი ტელ. 22–33–76

იყიდება ან ქირავდება ძეხვისა და სოსისის გამოსაშვები საამქრო, ლიცენზიით, მეტროსთან ახლოს. ფასი 8500 დოლარი. ტელ. 61–52–04; 37–02–62

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ავეჯით და ტელეფონით, ორთაჭალაში. დენი და წყალი მუდმივად არის. ტელ. 34–73–95 რუსიკო

## სხვადასხვა

ვარ სპეციალობით ინჟინერ–ეკონომისტი. ვეძებ ბუღალტრის სამუშაოს ტელ. 34–30–16 (დღის 4 საათამდე) ტელ. 34–55–26 (საღამოს საათებში)

იყიდება 6 რბილი სკამი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–11–67

იყიდება სამეულის ხელით ნაქსოვი გადასაფარებელი. ტელ. 37–74–68

იყიდება ფრანგული „მაულინექსი“ ფირმის მუსიკალური ყავის მადუღარა კომპიუტერული სისტემით. ფასი 300 ლარი. ტელ. 93–36–41 საღამოს საათებში 6 სთ–ის შემდეგ

თუნუქის სახურავების შეკეთება–შეღებვა სურიკის სალებავით ძალიან დაბალ ფასებში. ანგარიშსწორება ნებისმიერი. ტელ. 37–35–90 საღამოს

იყიდება ეგვიპტის წარმოების ხუთეული მაგიდის გარეშე მისაღებისათვის ანტიკვარულ სტილში. ფასი 1200 დოლარი ტელ. 95–87–11; 61–11–39

საკუთარი რაფით მოვემსახურები კერძო პირს ან ორგანიზაციას ყოველ მესამე დღეს. ტელ. 95–18–28

იყიდება ფიჭვის ხის კარებები ლოჯიის ან აივნის გადასატიხრად 5 ცალი, თავისი 5 მილიმეტრიანი შუშებით. ზომები: სიმაღლე 2 მ. 64 სმ. სიგანე 70 სმ. ფასი 1 ცალი – 100 ლარი. ტელ. 29–22–76

## ვასწავლი

მოვამზადებ მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს ინგლისურ ენაში ტელ. 31–16–87; გერმანულ ენაში ტელ. 36–09–48 ლია

## მოვუვლი

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ტელ. 73–02–74 ანოლი

მოვუვლი ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. მაქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. სანიტარული წესების სრული გარანტიით. გულთბილი ატმოსფერო და სიყვარული ნებისმიერი ასაკის ბავშვს არ მოაკლდება. ტელ. 29–16–33 ქალბატონი გულიკო.

ვაკეთებ სამედიცინო მასაჟებს, მოვუვლი ავადმყოფს და დავეხმარები კარგადმყოფთ საოჯახო საქმეებში, მოვამზადებ ბიოლოგიაში. ტელ. 73–35–26 ფატიმა

## ავტომობილი

იყიდება „გაზ 53“ 1990 წლის გამოშვება განარბენი 12000 კმ. ფასი 1500$ ტელ. 99–99–25 (21 სთ–ის შემდეგ)

მარჯანიშვილის მოედანთან, აღმაშენებლის გამზირზე იყიდება სამსართულიანი სახლის მესამე სართული, მაღალჭერიანი (4,35 მ), 9 ოთახი მანსარდით (270 კვ.მ), მუხის პარკეტით, ბუხრებით, ოთხი სატელეფონო ხაზით. საერთოა ფართია 380 კვ.მ აქვს სარდაფები. ბინა სარემონტოა. დენი მუდმივად არის. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 250000 დოლარი ტელ. 95–08–87

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93–18–41

# აფიშა

**მარჯანიშვილის თეატრი**
ანტონ ჩეხოვი
**«სამი და»**
დასაწყისი 17 საათზე

**ვერიკო ანჯაფარიძის სახ.ერთი მსახიობის თეატრი ფიქრის გორაზე**
(ვ.ანჯაფარიძის ქ.№16)
გურამ რჩეულიშვილი
**«ზღვა ძალიან ღელავს»**
კითხულობს მურმან ჯინორია
დასაწყისი 20 საათზე

**მიხეილ თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი**
(დ.აღმაშენებლის გამზ. 164)
ფედერიკო გარსია ლორკა
**«მარიანა პინედა»**
დასაწყისი 18 საათზე

**თეატრალური სარდაფი**
(რუსთაველის გამზ. 42)
ბერტოლ ბრეხტი
**«შიში და სასოწარკვეთა»**
(პოლიტიკური ატრაქციონი)
დასაწყისი 20 საათზე

## რა როდის რომელ არხზე

### პარასკევი, 13 ივნისი

**1** 7.30 „ალიონი“ 9.00 „კასანდრა“ 18.00 „მოამბე“ 18.10 ანონსი 18.15 ქორეოგრაფიული მოზაიკა 20.00 „მოამბე“ 20.40 რეკლამა 20.45 აუდიენცია 20.55 „ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი“ 21.05 ასპარეზი 21.15 პრეს–სტუდია 22.00 „ვესტნიკი“ 22.20 ლატარია ყველასათვის 22.50. ტელე–სინე–ვიდეო. 23.50 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“ 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა, 22.00 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“. 22.30 მხ.ფ. „ექიმ მოროს კუნძული“. პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

**კავკასია** 11.00 შეიპინგი 11.30 მლ.ფ. 12.10 დოკ.ფილმი 13.00 ტელეკომპანია „მირი“ 13.30 მხ.ფ. „მოკვდე ახალგაზრდა“ 15.00 გასართობი პროგრამა 16.15 „ვარსკვლავები“ 16.45 დეტექტიური სერიალი „ტენ პიკსი“ 17.45 საინფორმაციო გამოშვება 18.00 მულტფილმები.

**VII არხი** 11.05 მხ.ფ. „ფანფანი“ 12.35, 20.05 „აჩიკუდა“ 12.55 „პანაცეა“ განმეორებით 13.05 „ტელეგაზეთი“ 18.20 ქართული მხ.ფ. 19.40 მუსიკა 20.35, 22.25 „პიჩიკატო“ 20.40 მხ.ფ. „სასიკვდილო გამოწვევა“ 22.20 კინოკლუბი წარმოგიდგენთ – მხ.ფ. „რიჩარდის მილიონში“ 00.55 მუსიკა 01.05 დოკ.ფ „საბრძოლო ზონა“ 01.25 „ერალაში“ უფროსებისათვის 01.40 ფილმი მოთხრობით – მხ.ფ. „გასართობი გოგონები“.

**რუსთავი - 2** 18.00 კურიერი 18.15 „დოგსითი“. მულტსერიალი 18.35 „მანუნა“ 19.05 დოკ.სერიალი „ველური ბუნება“ 19.35 „სალომეა“ 20.30 VIDEO FASHION 21.00 კურიერი 21.30 სერიალი „რობოკოპი“ 22.10 „სიმპსონები“. მულტსერიალი უფროსებისთვის 22.35 „ლოსანჯელესის კანონი“ 23.25 კურიერი 23.55 მხ.ფ. „ირემზე მონადირენი“.

**ОРТ** 09.00 Х/Ф “Жизнь и удивительные приключения Робинзона Крузо“ 10.30 “Русалочка“ 11.00, 16.00, 00.30 Новости 10.10 Слово пастыря 11.30 Утренняя почта 12.05, 18.05 Тур Хейердал и звезды ТВ в “Клубе путешественников“ 12.25 Смак 12.45 Возвращение Третьяковки. История одного шедевра 13.15 Х/Ф “Старинный водевиль“ 14.20 Док. ф. “Подводная одиссея команды Кусто“ 15.20 Смехопанорама 15.55, 22.35, 02.35 Программа передач 16.20 Очевидное невероятное 16.50 Америка с М.Таратутой 17.20 Мультфейерверк “Приключения вуди и его друзей 18.00 Колесо истории 19.35 Погода 19.30 Х/Ф “Когда мы встретимся вновь“ 23.45 Песня-97 00.45 Х/Ф “Потерянный рай“.

**РТР** 09.00 Утренний Экспресс 09.50, 22.10 Программа передач 09.55 Торговый дом “Ле Монти“ 10.10 “Солти“ 10.30 Док.ф. “На основе ТЮЗ“ 11.00 Доброе утро, страна! 11.45 У всех на устах 12.00 Вести в одиннадцать 12.15 Присяга 12.40 Книжная лавка 13.10 Поют драматические артисты 13.35 Человек на земле 14.00 Сад культуры 14.30 21-й кабинет 15.00, 21.00 Вести 15.25 Мультфильмы 16.20 Караоке по-русски 16.50 Двойной портрет 17.15 Встречи на Воздвиженке 18.15 “Кинотавр-97“ 19.10 Х/Ф “Отчий дом“ 21.35 Городок 22.10 Х/Ф “Гений“ 00.55 Волейбол. Мировая лига 01.30 “Ночной экспресс“.

**НТВ** 09.00, 09.30. 10.00, 10.30, 11.00 Сегодня утром 09.10 Компьютер 09.20 Впрок 09.35 Новости шоу бизнеса 09.45 Градусник 09.50 На свежую голову 10.15 Спорт 10.20 Этот день в истории 10.25 Карданный вал 10.35 Ретроновости 10.45 Я-телохранитель 10.50 Новости кино 11.15 Мультфилмь 12.30 Улица Сезам 13.00, 17.00 Сегодня днем 13.20 Русский альбом 17.35 Дистанция 60 18.35 Маски-шоу 19.30 Футбольный клуб 20.00, 23.00 Сегодня вечером 20.40 Х/Ф “Внутренний космос“ 23.45 Х/Ф “Опасные связи “ 02.05 Х/Ф “Дикая орхидея-2. Два оттенка грусти“.

**TV6** 09.00, 17.15, 20.40 Шесть новостей 09.10 Диск-канал 09.35 Рецепты от “Цептер“ 09.45, 02.30 Дорожный патруль 10.00 Аптека 10.15 90х60х90 10.30 Х/Ф “Серый разбойник“ 11.45 Телемагазин “Спасибо за покупку“ 12.20 Шоу еды 12.50 “Назло рекордам“ 13.15 Сериал о природе 14.00 Канон 14.35 Территория ТВ-6 15.05 Музыка и пресса 16.00 Ток-шоу “Сделай шаг“ 16.55 Спорт недели 17.35 Ералаш 18.05 Москва Алексея Ефимова 18.20 Сериал “Элли и Джулс“ 19.35 Мое кино 20.10 Вы - очевидец 20.55 “Однажды преступив закон“ Х/Ф 22.05 Фитил 23.00 Х/Ф “Любовь немолодого человека“ 00.35 На-на 02.45 Х/Ф “Дом клоунов“

## კიდევ ორი ჟურნალისტი გაიტაცეს

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან კიდევ ორი რუსი ჟურნალისტი ილია ბოგატიროვი და ვლადისლავ ჩერნიაევი გაიტაცეს. ჩეჩნეთში ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად ჩაფიდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ივან რიბკინი. მისი თქმით, ჟურნალისტების გატაცება ხდება მაშინ, როცა საუბარია ჩეჩნეთის ეკონომიკის აღორძინების პროგრამაზე, ეს აქტი ლახვარს სცემს ამ სასიკეთო საქმეს.

## ბრძოლა კვლავ გრძელდება

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გამოსცა ბრძანება კონგოდან საელჩოს თანამშრომლებისა და იქ მცხოვრები რუსი მოქალაქეების ევაკუირების შესახებ, ქვეყანაში შექმნილი უამრავი პრობლემის გამო კონგოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება ქალაქ ბრაზილიაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ბრძოლა დაპირისპირებულ მხარეთა შორის კვლავ გრძელდება.

## აყვანილია ათეულობით ტყვე

ავღანეთის ჩრდილოეთით თალიბები შეეტაკნენ გენერალ მასუხის ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს სალანგის გზა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ავღანეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი. მასუხის ჯარებმა ათეულობით ტყვე აიყვანეს სოფელი ბაზარავში.

## მეთაურს მმართველობის ვადა უმთავრდება

იაპონიის მთავრობის მეთაურს მმართველობის ვადა მიმდინარე წლის სექტემბერში უმთავრდება. საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რამდენადაც მის მოწინააღმდეგედ არავინ გამოდის, შესაძლოა იგი დარჩეს პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატად.

# აბაშიძე კვლავ უკმაყოფილოა



გუშინ ბათუმში გაიმართა აჭარის უზენაესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს და საქართველოს მთავრობის ერთობლივი გაფართოებული სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ასლან აბაშიძემ და სახელმწიფო მინისტრმა, ნიკო ლეკიშვილმა. სხდომაზე განიხილეს 5 თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები და 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხი. აჭარის წარმომადგენელთა განცხადებით, 1996 წლის ბიუჯეტის შესრულება მეტი წარმატებით შეიძლებოდა, დროულად რომ ყოფილიყო მიღებული კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ.

საბოლოოდ, შედეგები ასეთია: გამოშვებულია 12 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია. დამუშავდა და გადაიტვირთა 450 ათასი ტონა ტვირთი. საქონელბრუნვამ 19 მილიონი ლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, აღინიშნა, რომ აჭარის საწარმოების უმრავლესობა გაჩერებულია.

დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ აჭარის რკინიგზის დეპარტამენტის შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა დარჩეს. აჭარის საბაჟო სამსახურებს უნდა მიეცეთ იმის უფლება, რომ თავად შემოიღონ სააქციზო მარკები და აწარმოონ კონტროლი.

აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრეტენზიები გამოსთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, მათ არაფერი ხვდებათ საქართველოში შემოსული კრედიტებისა და ინვესტიციებიდან. უკმაყოფილება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტროენერგია აჭარაში გრაფიკის დიდი დარღვევით მიეწოდებათ, რის გამოც ზიანდება და მწყობრიდან გამოდის ელექტრომოწყობილობები. აჭარის მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, რომ აფხაზეთი, რომელიც არ ემორჩილება ოფიციალურ თბილისს, მაინც აზერხებს ელექტროენერგიის მიღებას, ხოლო ერთგული აჭარა კი ვერ იღებს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკას სააქციო საზოგადოება „საქენერგოს" 10 მილიონი ლარი აქვს ვალი, რასაც აჭარის ხელისუფლება არ დაეთანხმა. ასლან აბაშიძემ ამ თანხას მნიშვნელოვნად გაბერილი უწოდა. სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა წამოაყენა წინადადება, რომლის თანახმადაც ამ საკითხს თბილისში დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტენ. ამ საკითხის მოწესრიგების საკითხში, არბიტრის მისიის შესასრულებლად, საქართველოს ნავთობისა და ენერგეტიკის მინისტრის, დავით ზუბიტაშვილის კანდიდატურა შესთავაზეს.

ყურადღების მიღმა არც ბათუმის აეროპორტი დარჩენილა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს საერთაშორისო აეროპორტის სტატუსი მიენიჭა, მთლიანად დაცარიელებულია. დღეისთვის, აეროპორტი ტექნიკური მიზეზების გამო არის დახურული. სხდომაზე აღინიშნა, რომ ის თვითმფრინავიც კი, რომლითაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ჩაფრინდნენ, დიდი რისკის ფასად დასვეს. ასლან აბაშიძის თქმით, ბათუმის აეროპორტმა თავის შვედ ინვესტორს იმედი გაუცრუა, რომელსაც აეროპორტის რეკონსტრუქცია უნდა განეხორციელებინა. ამის მიზეზად ასლან აბაშიძემ დაასახელა ოფიციალური თბილისის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველა აეროპორტს ერთი ინვესტორი უნდა პატრონობდეს.

ტრადიციულად, აჭარის ხელისუფლებამ უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ თბილისის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ტენდენციურად აშუქებენ აჭარაში მიმდინარე მოვლენებს. თბილისის გაზეთებში დაბეჭდილი პუბლიკაციები აჭარის ხელისუფალთ აიძულებენ იფიქრონ, რომ სტატიების ავტორების უკან ვიღაც დგას. გაკვირვება გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთ ვითარებაში შესაბამისი ორგანოები უმოქმედოდ არიან და დუმილს იცავენ. სამთავრობო დელეგაციის სტუმრობა დასავლეთ საქართველოში დღეს დასრულდება.

**ინგა დადიანი**

# ვის არ სძინებია კლინტონის ოჯახურ ლოგინში!

მეხუთე გვერდიდან

ლონტერი -ნებაყოფლობითი დამხმარე, რომლებიც ეხმარებიან ყოველ ათასობით მოსულ წერილზე პასუხის გასაცემად.

სხვათაშორის, კლინტონის კატას სოკსაც ვოლონტერს ეძახიან. თეთრ სახლში ყოველთვის არსებობდა თაგვებისა და ვირთხების პრობლემა, რომელთაც ხშირად აქ იარაღითაც კი ებრძოდნენ. თაგვებთან ბრძოლა მის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად ითვლება. სიტუაცია დეკემბერში რთულდება, როდესაც საშობაო ნაძვისხეებთან ერთად სახლში თაგუნებიც აღწევენ. და აი, აქ თითქმის უსასყიდლოდ საქმეს საკუთარ ხელებში იღებს სოკსი, რომელიც კლინტონებმა არკანზასის ნაგვისსაყრელებზე იპოვეს. ამის გარდა, ოჯახის ნებიერა სახელმწიფო საქმეებშიდაც ხშირად ერთვება. ამას წინათ თათანი აჰუს ერთ-ერთი ვიზიტის დროს, როდესაც „მამანი" ახლო აღმოსავლეთის პრობლემების შესახებ ბჭობდნენ, სოკსი მეზობელ ოთახში სტუმარი მანდილოსნების ორ პატარასართობდა.

ამჟამად თეთრი სახლი განსაკუთრებული რიტმით ცხოვრობს. ფლორიდის რანჩოზე სტუმრად მყოფმა პატრონმა მუხლის მყესი დაიზიანა და სახლში ინვალიდის სავარძლით დაბრუნდა. მის დაბრუნებისთანავე სასწრაფოდ დაამაგრეს ხალიჩები, გადაადგილეს ავეჯი საძინებელში, დააყენეს დამატებითი სახელურები სააბაზანო ოთახში, საცხოვრებელ ნაწილში გამოჩნდნენ ექიმები. დაცვამ შეისწავლა პრეზიდენტის ჩაცმისა და გახდის რთული ხელოვნება. შეფპოვარმა ვალტერ შეიბმა მთელი მენიუ გადაქექა, რათა ყოველდღიურ გარბენებს მოკლებული ბილი არ მოსუქდეს. ახლა პრეზიდენტი თავს უკეთ გრძნობს. და მიუხედავად იმისა, რომ გოლფის ჯოხის ხელში აღების უფლებას მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიიღებს, უარი თქვა ყავარჯნებზე და მხოლოდ ჯოხით კმაყოფილდება, რომელიც მექსიკაში ვიზიტად ყოფნის დროს აჩუქეს. ამასთანავე ერთ-ერთი მცველი ყოველთვის მისგან ოდნავ წინ მიაბიჯებს, რათა შეამოწმოს ხომ არ არის ნაკეცები ხალიჩაზე ან სხვა რაიმე დაბრკოლება, რომელზედაც შეიძლება შეფმა წაიბორძიკოს.

ამერიკელები ბილის მიმართ თანაგრძნობით არიან აღსავსენი. მაგრამ ეს მათ არ უშლით დასვან კითხვა, რომელსაც, ალბათ, ჩვენთან უხერხულად ჩათვლიდნენ: რა ღირს პრეზიდენტის მკურნალობა და ვინ იხდის ამ თანხას? როგორც ამ დღეებში ადმინისტრაციის პრესმდივანმა მაიკლ მაკკერიმ განმარტა, კლინტონისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის ანგარიშმა შვიდი ათასი დოლარი შეადგინა. არც ისე ბევრია, რადგან სამხედრო ჰოსპიტალმა, სადაც ოპერაციას უკეთებდნენ, შეღავათი დაუშვა მისთვის, როგორც მთავარსარდლისათვის. კლინტონის, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის დაზღვევა თანხის 80 პროცენტს დაჰფარავს.

ასე რომ, დარჩენილი 1400 დოლარის გადახდა თეთრი სახლის პატრონს თავად მოუწევს.

მოამზადა

**კობა კიკნაძე**



სუსლოვი ეუბნება ბრეჟნევს:

– თეთრი სახლი, ლეონიდ ილიას ძევ, – ქარვასლაა. ჩვენ კი ჩვენს კრემლს გადავაქცევთ სანიმუშო კომუნისტურ ოტელად, ვარსკვლავი ვარსკვლავთან.

# ჯვარედინი



ჰორიზონტალურად: 2. დედამიწის სიღრმეში გაყვანილი ღრმა, ვიწრო ხვრელი; 7. საეპისკოპოსო კათედრა სამხრეთ საქართველოში; 8. სპილენძის ჟანგი; 10. მედიცინის დარგი; 12. ერთ-ერთი სახარების ავტორი; 13. დაბალი მარადმწვანე ხე ან ბუჩქი; 15. ადამიანის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა; 17. მონტე-..; 18. ცხარე საწებელი; 19. ამერიკელი მძიმეწონოსანი პროფესიონალი მოკრივე; 21. აყლაყუდა, უშნოდ მაღალი, ანუ..; 22. ნობელის პრემიის ლაურეატი რუსი ებრაელი ფიზიკოსი; 23. ჰ.მელვილის რომანი; 25. წყლის დიდი ტალღა; 26. ვაზის ხეივანი; 27. ეზოში შემოსასვლელი კარები; 30. მისი ხურმაც არსებობს; 32. უმცირესი ადმინისტრაციული ერთეული მეფის რუსეთში; 34. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პიროვნება; 37. მონაცრისფრო ჭრელი ფერისა, ანუ..; 38. „სატანური ლექსების" ავტორი; 39. ქლიავის ჯიში.

ვერტიკალურად: 1. სახელმწიფო ენა ავღანეთში; 2. გასანათებელი მოწყობილობა; 3. „მაუგლის" პერსონაჟი; 4. მომცრო ზომის მგალობელი ფრინველი; 5. ესეც ფრინველია, ოღონდ არ გალობს; 6. მოკუმშული ხელის მტევანი; 9. ესპანური ცეკვა; 10. XX საუკუნის დიდი ქართველი მწერალი; 11. ის, რაც ცისკარმან ვარდისფრად შეღება"; 12. აზრის გამოხატვის სპარტანული სტილი; 14. ფეოდალური საგვარეულო ქართლში; 15. ისტორიული ოლქი ჩეხეთში (იტალიელი მწერალიცაა); 16. გასაგზავნად გამზადებული შეკრულ-შეფუთული ნივთი; 19. რთული სიტყვის ნაწილი. ნიშნავს სიცოცხლესთან დაკავშირებულს; 20. უფროსი მონღოლურად; 24. ნეფე-დედოფლის მხლებელი ქორწილში; 28. ინდოელთა საღვთო მცენარე; 29. წყლის საღებავებით შესრულებული მხატვრობა შენობის კედლებზე ან ჭერზე; 31. რაიმე საქონლის ან მომსახურების დაწესებული ფასი, გადასახადის ნორმა; 33. მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით; 35. ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი; 36. ჭექა-ქუხილის ღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში.

## წინა ნომრის ღადავვორდის პასუხები

მიყრდნობილად: 1. ნატერისთვალი; 2. წმინდა; 3. ადლი; 4. ანტი; 5. ტიტინი; 7. დღიური; 8. ონკანი; 11. წიწიბურა; 14. იაკი; 17. მასწავლებელი; 18. ტუნდრა; 19. ტანისამოსი; 20. პირდაპირ; 22. ფარფაში; 26. ნაგრამი; 27. საამური; 29. ნინძა; 30. ნაგლი.

მიწოლილად: 6. წარმოდგენა; 9. ღრუტუნი; 10. ავანტიურისტი; 12. ნიაზი; 13. ბრიტანეთი; 15. შურთხი; 16. მათემატიკა; 21. ნაგავი; 23. წელიწადი; 24. სირდარია; 25. ავანსი; 28. ონსილა; 31. რაისა; 32. რბევა; 33. რასისტი; 34. ძახილი; 35. ლიმიტი; 36. ქალაქი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444